



NATIONAL CENTER FOR  
EDUCATIONAL QUALITY  
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო  
პროგრამების კლასტერის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის დასახელება სწავლის სფეროების  
კლასიფიკატორის მიხედვით

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა  
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა  
ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა  
ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა  
ფინანსებისა და საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამა  
მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა  
აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრა - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა  
საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი  
2024

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ .....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა .....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან .....	11
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა .....	11
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა .....	36
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა .....	56
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა .....	63
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები .....	95

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების ტიპი	საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ევგენია ბუსმაჩიუ, ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტო/ეკონომიკური კვლევების აკადემია, მოლდოვის რესპუბლიკა
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინა ზაქარაძე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია ნოღაიძე, ჯეო ჰოსპიტალსი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბექა ბენდელიანი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4	პროგრამა 5	პროგრამა 6	პროგრამა 7	პროგრამა 8
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება	ბიზნესის ადმინისტრირება	ბიზნესის ადმინისტრირება	ფინანსები	ფინანსები და საბანკო საქმე	მარკეტინგი	აღრიცხვა, აუდიტი და ბუღალტერობა	საჯარო მმართველობა
უმადლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	დოქტორანტი	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	მაგისტრატურა	მაგისტრატურა	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი	ფინანსების ბაკალავრი	ფინანსების მაგისტრი	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში	აღრიცხვისა და ბუღალტერობის მაგისტრი	საჯარო მმართველობის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა	0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა	0414 მარკეტინგი და რეკლამა	აღრიცხვა და ბუღალტერობა 0411	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი უფლების სწავლების უფლების მითითება <sup>1</sup>	-	-	-	-	-	-	-	-
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	180	120	60	180	120	120	120	180
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი	გადაწყვეტილება №150 16.11.2018	გადაწყვეტილება N 09 16.01.2019	ახალი	გადაწყვეტილება N 149 16.11.2018	ახალი	ახალი	ახალი

<sup>1</sup> (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

## I. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

### - ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ<sup>2</sup>

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაცია განხორციელდა რვა სასწავლო პროგრამაზე, რომლებიც დაჯგუფებულია კლასტერში. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოსა და სასწავლო სფეროების კლასიფიკატორის“, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფების წესის შესაბამისად, მოცემულია შემდეგი პროგრამები:

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 180 კრედიტი;
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 120 კრედიტი.
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა - 60 კრედიტი.
- ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა- 180 კრედიტი.
- ფინანსებისა და საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამა - 120 კრედიტი;
- მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 120 კრედიტი;
- აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრა - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 120 კრედიტი;
- საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 180 კრედიტი.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებიდან საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ხოლო დანარჩენი პროგრამები - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე.

### - აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

კლასტერი აერთიანებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო აკადემიურ პროგრამებს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, ასევე, ფინანსების საბაკალავრო პროგრამას და ფინანსებისა და საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამას, მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამას, აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრა სამაგისტრო პროგრამას და საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამას. ექსპერტთა ჯგუფმა განხორციელა ვიზიტი ბსუ-ში წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგისა და რუკის მიხედვით, რომელიც მოიცავდა ექსპერტების მიერ შემუშავებულ კითხვებს. ექსპერტთა ჯგუფმა გამართა ინტერვიუები სხვადასხვა ჯგუფთან, მათ შორის უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების გუნდთან, ყველა პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან და ყველა პროგრამის კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა წვდომა დოკუმენტებზე, მათ შორის უნივერსიტეტის მიერ მომზადებულ გარე შეფასების ანგარიშზე.

მოწოდებული დოკუმენტები კარგად და გასაგებად იყო წარმოდგენილი ინგლისურ ენაზე, რაც დაეხმარა ექსპერტთა ჯგუფს უნივერსიტეტის სასწავლო გეგმის, სასწავლო პროგრამების, განვითარებისა და სტრატეგიული მიზნების, ასევე, ოპერაციების გაგებაში.

ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა რექტორს, დეკანს და პროგრამების წარმომადგენლებსა და დამხმარე პერსონალს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დირექტორი, ყველა წარმოდგენილი პროგრამის რამდენიმე პედაგოგი და სტუდენტი, ასევე კურსდამთავრებულები და შრომის ბაზრის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ აკრედიტაციის პროცესში. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა დაეთვალიერებინა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას, მათ შორის ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, მულტიმედია ოთახები და სასწავლო სივრცეები.

დასკვნითი შეხვედრა გაიმართა 4 ოქტომბერს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ყველა გასაუბრების ჩატარების შემდეგ. შეხვედრაზე, ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო წინასწარი დასკვნები და რეკომენდაციები.

### - საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 180 კრედიტი;

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 4: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 120 კრედიტი;



საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო

პროგრამა - 180 კრედიტი;

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 4: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

## კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

### ქვესტანდარტი 3.1: სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

- რეკომენდებულია, უსდ-მ ყურადღება გაამახვილოს სტუდენტებისთვის პრაქტიკული სწავლების კომპონენტის გაძლიერებაზე.

### ქვესტანდარტი 4.1. ადამიანური რესურსი

- რეკომენდებულია, რეგულარული ტრენინგების ორგანიზება, რომელიც ორიენტირებულია აკადემიური განვითარების ხელშეწყობაზე შემდეგ მიმართულებებით: „სწავლების თანამედროვე მეთოდები“: „უახლესი პედაგოგიური ტექნიკების შესახებ“ პროფესორ-მასწავლებლების ინფორმირებულობის გაზრდისა და სწავლების ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით; „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში და მისი მოდერნიზაცია“, რათა პროფესორ-მასწავლებლები გაეცნონ ხელოვნური ინტელექტის იმ ხელსაწყოებს, რომლებსაც შეუძლიათ სასწავლო გამოცდილების გაუმჯობესება და ადმინისტრაციული დავალებების გამარტივება; „სხვა რელევანტური თემები“: ეს სესიები შესაძლოა ასევე შეეხოს მზარდ ტენდენციებსა და ტექნოლოგიებს, რომელთაც შეუძლიათ აკადემიური პრაქტიკების გაუმჯობესება. გარდა ამისა, უსდ-მ უნდა შეუწყოს ხელი კვლევის ინტერნაციონალიზაციას, რაც წახალისებს გლობალურ კვლევით ქსელებთან თანამშრომლობას, გაზრდის უნივერსიტეტის ხილვადობას საერთაშორისო აკადემიურ წრეებში და უზრუნველყოფს მრავალფეროვან აკადემიურ პერსპექტივებს.

### ქვესტანდარტი 4.4 მატერიალური რესურსი

- რეკომენდებულია, რომ სასწავლო ლიტერატურა, მათ შორის სახელმძღვანელოები, „ჰენდაუთები“ და სხვა მასალები, განსაკუთრებით კი ის ლიტერატურა, რაც მითითებულია სავალდებულო საკითხავად, ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული ფორმატით, ასევე ბეჭდური ვერსიების სახით, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ეს უზრუნველყოფს სასწავლო მასალებზე ყველა სტუდენტის მარტივ და თანასწორ წვდომას, მათი განსხვავებული პრეფერენციების გათვალისწინებით.

### ქვესტანდარტი 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

- რეკომენდებულია, პროგრამის მენეჯერებისა და აკადემიური პერსონალის გადამზადება სწავლის შედეგების შეფასების კონცეპტუალური რუკების შექმნის ძირითადი პრინციპების მიმართულებით.
- რჩევები კლასტერისთვის: ქვე-

### სტანდარტი: 1.1 პროგრამის

#### მიზნები

- სასურველია, ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციისა და ხილვადობის დონის ამაღლება.

### ქვესტანდარტი 1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- სასურველია, ყველა პროგრამის სწავლის შედეგების განახლება დიგიტალიზაციისა და მდგრადობის ასპექტებით;
- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის შინაარსის მოთხოვნების გაუმჯობესება.

ქვესტანდარტი 1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- სასურველია, ც დივერსიფიცირება ეკონომიკის ყველა სფეროს წარმომადგენლების მოზიდვით (სოფლის მეურნეობა, მომსახურება, ტრანსპორტი და ა.შ.) და მეტი ადგილობრივი საჯარო ხელისუფლების ჩართვა პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრაში.
- სასურველია, საერთაშორისო პარტნიორების სიის და ყველა პროგრამის ხილვადობის გაფართოება.
- სასურველია, უნივერსიტეტის ვებგვერდის ინგლისურენოვანი ვერსიის ინფორმაციის განახლება.

ქვესტანდარტი: 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- სასურველია, პრაქტიკული აქტივობებისთვის გამოყოფილი საათების გაზრდა;
- სასურველია, სასწავლო საგნების სიის გადახედვა და პროფესიული მიმართულებით კურსების პრიორიტეტიზაცია;
- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის პოპულარიზაციის მექანიზმის დახვეწა, სტუდენტების რაოდენობის გაზრდის მიზნით;
- სასურველია, სადოქტორო კვლევის შედეგების ინტერნაციონალიზაციისა და ხილვადობის გაზრდა.

ქვესტანდარტი.1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასურველია, მდგრადობის საკითხების ინტეგრირება სავალდებულო შესავალ კურსებში;
- სასურველია, გააუმჯობესოს სასწავლო პროგრამების ინგლისურენოვანი და სხვა უცხოენოვანი ლიტერატურის უზრუნველყოფით

ქვესტანდარტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- სასურველია, სრული ინფორმაციის მიწოდება ყველა პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ, მათ შორის ინგლისური და ქართული ენების ცოდნის დონის განსაზღვრის შესახებ.

ქვესტანდარტი 2.2: პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

- სასურველია, რომ საბაკალავრო ნაშრომი წარმოდგენილი იყოს სპეციალობის არჩევითი კურსების ნუსხაში. სასურველია, მეტი მემორანდუმის გაფორმება კერძო ბიზნეს კომპანიებთან, სტუდენტების სტაჟირების მიზნით.

ქვესტანდარტი 4.1 ადამიანური რესურსი

- სასურველია, უფრო ფართო აუდიტორიის მოზიდვისა და სწავლებაში ჩართული პერსონალის რაოდენობის გაზრდის მიზნით, ამჟამინდელი ვაკანსიების განთავსება დამატებით პლატფორმებზე, როგორცაა მაგალითად - jobs.ge. ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის სხვადასხვა პლატფორმებზე განთავსებით, უნივერსიტეტს შეუძლია უფრო მეტ პოტენციურ კანდიდატს მიაწვდინოს ხმა და უფრო მეტ პირს შესთავაზოს ვაკანტური პოზიცია. ამ მიდგომამ, უსდ-მ შესაძლებელია ხელი შეუწყოს მეტი აპლიკანტის მოზიდვას, რაც შედეგად უზრუნველყოფს უფრო მრავალფეროვან და კვალიფიციურ პედაგოგიურ პერსონალს.

ქვესტანდარტი 4.2. ადამიანური რესურსები

- სასურველია, საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გაზრდა. აუცილებელია მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდება საერთაშორისო ბაზებთან და მათ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი გლობალური კვლევითი რესურსების თაობაზე სტუდენტების ინფორმირებით, ისინი უკეთ აღჭურვილნი იქნებიან ჩაერთონ საერთაშორისო კვლევით ქსელებში, ჰქონდეთ წვდომა უახლეს კვლევებზე და შეიტანონ წვლილი გლობალური აკადემიური ინიციატივის განხორციელებაში. ეს ცოდნა არა მხოლოდ გააუმჯობესებს სტუდენტთა კვლევით უნარებს, არამედ მისცემს მათ შესაძლებლობებს ითანამშრომლონ საერთაშორისო მეცნიერებთან და მიიღონ მონაწილეობა გლობალურ პროექტებში.

ქვესტანდარტი 4.3: აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება



- სასურველია, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მუშაობა, რაც გულისხმობს კარგად შემუშავებული გეგმების არსებობას შემდგომი პროგრესისთვის; სასარგებლო იქნება, თუკი უსდ გააძლიერებს მუშაობას კვლევისა და პუბლიკაციების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით და გაზრდის სასწავლო პერსონალისა და კურსდამთავრებულების (მაგისტრანტები და დოქტორანტები) აკადემიურ ღონისძიებებში ჩართულობას. ეს შეიძლება მოიცავდეს დაფინანსების შეთავაზებას, ლოჯისტიკურ მხარდაჭერას და საერთაშორისო მკვლევართან და ინსტიტუტებთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს. გლობალურ აკადემიურ ქსელებში უფრო მეტი ჩართულობის ხელშეწყობით, უნივერსიტეტს შეუძლია გააძლიეროს მისი კვლევითი პროფილი, ხელი შეუწყოს კულტურათაშორის გაცვლას და გააუმჯობესოს ზოგადი აკადემიური ხარისხი.
- სასურველია, აკადემიური უნარების მუდმივი გაუმჯობესება, აუცილებელია მუდმივი ტრენინგების ან სემინარების ჩატარება როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალისთვის. რეგულარული, სტრუქტურირებული პროფესიული განვითარების პროგრამები უზრუნველყოფს ფაკულტეტის წევრების ინფორმირებულობას უახლესი პედაგოგიური მეთოდების, კვლევის ტენდენციებისა და ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მდგრად აკადემიურ ზრდას. ეს პროგრამები ფოკუსირებული უნდა იყოს სწავლების ეფექტურობის, კვლევითი შესაძლებლობების და საერთო აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე, რაც ხელს შეუწყობს უწყვეტი განვითარების კულტურის დანერგვას სწავლების ყველა საფეხურზე.

ქვე-სტანდარტი: 4.4. მატერიალური რესურსი

- სასურველია, რომ უნივერსიტეტმა სტაჟირების მეტი შესაძლებლობა შექმნას სხვადასხვა ორგანიზაციასთან, ინსტიტუტებთან და კომპანიებთან დამატებითი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების (MOU) ხელმოწერით. ეს უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული გამოცდილების უფრო ფართო სპექტრს და შესაძლებლობებს, რომ გამოიყენონ თავიანთი აკადემიური ცოდნა მრავალფეროვან სამუშაო გარემოში, რაც გააძლიერებს მათი განათლების საერთო ხარისხს და შესაბამისობას.

ქვე-სტანდარტი: 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

- სასურველია, რომ უნივერსიტეტმა გააგრძელოს და გააძლიეროს მუშაობა გრანტების მოპოვების მიზნით, იმავდროულად, მოიძიოს დამატებითი დაფინანსების შესაძლებლობები. დაფინანსების სხვადასხვა წყაროების აქტიური მოძიებით, როგორცაა სამთავრობო გრანტები, კერძო სექტორის პარტნიორობა და საერთაშორისო კვლევითი ფონდები, უნივერსიტეტს შეუძლია გააფართოოს თავისი ფინანსური რესურსები, მხარი დაუჭიროს კვლევით ინიციატივებს და გააუმჯობესოს საერთო ინსტიტუციური განვითარება. დაფინანსების ეს პროაქტიული მიდგომა უნივერსიტეტს შეიძლება დაეხმაროს აკადემიური პროგრამების, კვლევითი პროექტების და სხვა საუნივერსიტეტო ინიციატივების მდგრადობისა და ზრდის უზრუნველყოფის მიმართულებით.

**რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის**

**პროგრამა 3:** ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა, მე-8 დონე;

ქვესტანდარტი: 4.1 ადამიანური რესურსი

- რეკომენდებულია სადოქტორო დისერტაციის წერისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს შემდეგს: სადოქტორო დისერტაციის თემა განისაზღვროს მისანიჭებელი კვალიფიკაციის მიხედვით; დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის წესებს, რადგან ეს დაირღვა სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, როდესაც სტუდენტმა მაღალი შეფასება მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ არ იცავდა ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის მითითებებს.

**რჩევები**

**პროგრამა 1:** ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

- სასურველია, უნივერსიტეტის ვებგვერდის ინგლისურენოვან ვერსიაზე განახლდეს პროგრამის შესახებ ინფორმაცია.
- სასურველია, მისაღებ გამოცდებზე ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნის დადგენა

პროგრამა 2: ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

- სასურველია, გაუმჯობესდეს სამაგისტრო ნაშრომის ხარისხი.
- სასურველია, თანამშრომლობის გაზრდა უფრო მეტ ბიზნეს კომპანიასთან სტაჟირების შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით;
- სასურველია, მიმდინარე გამოცდებისთვის მომზადების მიზნით მითითებული ცნობარის განახლება.

პროგრამა 3: ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა

- სასურველია, დოქტორანტურის პროგრამის ინტერნაციონალიზაციის და საერთაშორისოდ აღიარებულ მონაცემთა ბაზებში პუბლიკაციების ხილვადობის გაზრდა;
- სასურველია, ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის საგამოცდო/გასაუბრების თემების მოსამზადებლად დაემატოს უცხოენოვანი სასწავლო ლიტერატურა.

პროგრამა 4: ფინანსების საბაკალავრო პროგრამა

- სასურველია, კერძო სექტორის მეტად ჩართვა სტაჟირების სასწავლო მიზნებისა და კურიკულუმების შემუშავებაში.

პროგრამა 5: ფინანსები და საბანკო საქმე - სამაგისტრო პროგრამა;

- სასურველია, საბანკო სექტორთან თანამშრომლობის გაზრდა;
- სასურველია, სავალდებულო კურსების სიის გადახედვა. სასურველია, ფინანსური კორპორატიული მმართველობის“ კურსის დამატება
- სასურველია, „სახელმწიფო ფინანსების“ საგნისთვის დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობის გადახედვა;
- სასურველია, განაახლოთ სპეციალობის გამოცდისთვის მოსამზადებელი სასწავლო ლიტერატურა/წყაროები.

პროგრამა 6: მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა, მე-7 დონე

- სასურველია, სასწავლო მიზნებისა და კურიკულუმების განახლების შესაძლებლობის გაანალიზება, მარკეტინგის სფეროში ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მიხედვით;
- სასურველია, სასწავლო საგნების ფოკუსირება მარკეტინგის ახალ ტენდენციებზე.

პროგრამა 7: აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრა - სამაგისტრო პროგრამა.

- სასურველია, საერთაშორისო სერტიფიცირების ხელშეწყობა აუდიტსა და საბუღალტრო აღრიცხვაში;
- სასურველია, სასწავლო გეგმების გაუმჯობესება მდგრადობის ანგარიშების ასპექტებით;
- სასურველია, რომ მათ ვისაც სურთ შეისწავლონ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრა, ბაკალავრის ხარისხი ჰქონდეთ ბიზნესის ადმინისტრირებასა და ეკონომიკაში, ან მსგავსი პროფილის მიმართულებით.
- სასურველია, „დიდი ოთხეულის“ სფეროში პარტნიორობის გაღრმავება, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროგრამული უნარების განვითარებისთვის. აუცილებელია, აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის განვითარებაზე ფოკუსირება, რათა ყველამ თანაბრად შეძლოს მონაწილეობა სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში. რა თქმა უნდა, უნივერსიტეტი ვერ აიძულებს პერსონალს ისწავლოს ან გაიუმჯობესოს ენის ცოდნა, მაგრამ ამ მიმართულებით გარკვეული მექანიზმების დანერგვა შესაძლებელია;
- სასურველია, „დიდი ოთხეულის“ სფეროში პარტნიორობის გაღრმავება, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროგრამული უნარების განვითარებისთვის;
- სასურველია, აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის განვითარებაზე ფოკუსირება, რათა ყველამ თანაბრად შეძლოს მონაწილეობა სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში. რა თქმა უნდა, უნივერსიტეტი ვერ აიძულებს პერსონალს ისწავლოს ან გაიუმჯობესოს ენის ცოდნა, მაგრამ ამ მიმართულებით გარკვეული მექანიზმების დანერგვა შესაძლებელია.

პროგრამა 8: საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა, მე-6 დონე

- სასურველია, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობის გადრმავება;
- სასურველია, სახელმწიფო ნიშნებისა და სიმბოლოების სილაბუსის გადახედვა (2 ECTS);
- სასურველია/მიზანშეწონილია პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა (საათობრივი განრიგი) თანაბრად გადანაწილდეს ისე, რომ შეძლებისდაგვარად ყველა პერსონალმა კვალიფიკაციის შესაბამისად შეძლოს აკადემიურ საქმიანობაში ჩაბმა.

**- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)3**

- ძლიერი მენეჯერული გუნდი;
- პროფესიონალი პერსონალი ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მაღალკვალიფიციური მენეჯერი;
- თანამედროვე, მოწესრიგებული საინფორმაციო სისტემა;
- ადგილობრივი დაინტერესებული მხარეებისა და ადმინისტრაციის ძლიერი მხარდაჭერა და კარგი რეპუტაცია.

**▪ ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

▪ უნივერსიტეტი ეთანხმება 3.1 ქვესტანდარტში გაცემულ რეკომენდაციას, რომელიც გულისხმობდა, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაამახვილოს ყურადღება სტუდენტებისთვის პრაქტიკული სწავლების კომპონენტის გაძლიერებაზე. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა არ განახორციელა ცვლილებები.

▪ უნივერსიტეტი ეთანხმება რეკომენდაციებსა და რჩევებს, რომელიც მეხუთე სტანდარტის შესახებაა გაცემული. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა არ განახორციელა ცვლილებები დასკვნაში.

**▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

**აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:**

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონიტორინგს უწევს წინა აკრედიტაციის რეკომენდაციების შესრულებას და მიმდინარეობას, უნივერსიტეტის საქმიანობის გეგმის მიხედვით. თვითშეფასების ანგარიში აჯამებს მიღწევებს.

**აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:**

- 1.კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება<sup>4</sup>
- 2.კლასტერული შეფასება<sup>5</sup>

სტანდარტი/კომპონენტი	შეფასების მიდგომები:
<b>1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა</b>	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
<b>2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</b>	

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
<b>3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა</b>	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
<b>4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა</b>	
4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
<b>5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები</b>	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

### III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

##### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

## კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებია:

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა;
- ფინანსების საბაკალავრო პროგრამა;
- ფინანსების და საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამა;
- მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა;
- სამაგისტრო პროგრამა - აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრა;
- საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა.

ამ აკადემიურ კლასტერში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები კარგად არის ორგანიზებული და შესაბამისობაშია სასწავლო სფეროსთან; თავსებადია საქართველოს ოფიციალურ საკანონმდებლო ჩარჩოებსა და სტრატეგიულ სახელმძღვანელო პრინციპებთან და აკმაყოფილებს შრომის ბაზრის წარმომადგენლების მოთხოვნებს. საგანმანათლებლო პროგრამები რეგულარულად განახლებადია და შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს; ითვალისწინებს შრომის ბაზრის ცვლილებებს, თითოეული სტუდენტის ხელშეწყობისთვის. ბსუ-ში სასწავლო პროგრამის ინიცირების, დამტკიცებისა და მონიტორინგის პროცედურა კარგად არის განსაზღვრული. ფაკულტეტი შეიმუშავებს და მართავს სასწავლო პროგრამებს. საგანმანათლებლო გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელ სამუშაო ჯგუფს კოორდინირებას უწევს სამსახურის ან პროგრამის ხელმძღვანელი და მასში შედიან სამტატო პედაგოგები, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები. ისინი მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად განსაზღვრავენ თითოეული კურსისთვის/მოდულისთვის დისციპლინებს, საათების ოდენობას და კრედიტების რაოდენობას.

კლასტერში შემავალი ყველა პროგრამა აკმაყოფილებს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს. პროგრამები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებსაიტზე, ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, პერსპექტიული სტუდენტებისა და ფართო საზოგადოებისთვის.

სწავლებისა და შეფასების მეთოდები შეესაბამება საგანმანათლებლო კლასტერში შემავალი პროგრამების ზოგად მიზნებსა და სწავლის შედეგებს. უნივერსიტეტი ყველა პროგრამისთვის იყენებს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების მეთოდებს.

გარდა ამისა, პროგრამების მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული და რეალისტურია, კონკრეტული სასწავლო სფეროს, აკადემიური დონისა და საგანმანათლებლო ჩარჩოს გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრებზე კომუნიკაციისას, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა მკაფიოდ გამოხატეს საკუთარი თავი და დამაჯერებლად ისაუბრეს, წარმოაჩინეს საკუთარი სასწავლო პროგრამის საფეხურის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მაღალი დონე.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 180 კრედიტი;**

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეიმუშავა „ბიზნესის ადმინისტრირების“ აკადემიური პროგრამა, რომელიც შეესაბამება მის სტრატეგიულ მიზნებს, ითვალისწინებს ევროკავშირისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას და პასუხობს დარგის ამჟამინდელ გამოწვევებს. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ხაზს უსვამს ბიზნეს გარემოს წინაშე არსებულ უმთავრეს პრიორიტეტებს, პასუხისმგებლობებსა და გამოწვევებს. გარდა ამისა, სტუდენტებს მოეთხოვებათ შეარჩიონ ბიზნესის სასურველი სფერო და ამ მიმართულებით გაიღრმავონ ცოდნა. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის მიზნები შექმნილია ისე, რომ უპასუხოს კვალიფიციურ პროფესიონალებზე მზარდ მოთხოვნას როგორც საჯარო, ისე კერძო სუბიექტების სხვადასხვა სექტორში. "ბიზნეს ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები მზად იქნებიან, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, მართონ თავიანთი ბიზნესი და წვლილი შეიტანონ ბიზნეს ერთეულებისა და პროცესების მართვაში. ისინი მზად იქნებიან „წინახაზის“

(ტექნიკური, ქვედა) და საშუალო რგოლის მენეჯერების როლის შესასრულებლად.

**აღწერა და ანალიზი პროგრამა 2: ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 120 კრედიტი.**

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზნები უკავშირდება რეგიონში და ასევე ეროვნულ დონეზე პროფესიონალი კადრების მიმართ არსებულ მზარდ მოთხოვნას. ამ სპეციალისტებმა არა მხოლოდ უნდა იცოდნენ თანამედროვე ბიზნესის ადმინისტრირების თეორიები და პრინციპები, არამედ გამოავლინონ ანალიტიკური და შეფასების უნარი პრობლემების იდენტიფიცირებისა და სტრატეგიული მიმართულებების ჩამოსაყალიბებლად.

დამსაქმებლები იმედოვნებენ, რომ ეს პირები ბიზნესოპერაციებს განახორციელებენ სოციალური პასუხისმგებლობით, გარემოს დაცვისა და მმართველობისადმი მტკიცე ვალდებულების განცდით, კერძო, საჯარო და სამთავრობო სექტორის ინტერესების გათვალისწინებით. დამსაქმებლები უპირატესობას ანიჭებენ მაღალ კვალიფიკაციას, გუნდურ მუშაობას, კრეატიულობას, კომუნიკაციის უნარებს და პროფესიული კომპეტენციების თვითშეფასების გზით ცოდნის ავტონომიური გაუმჯობესების შესაძლებლობებს, სამუშაო ეთიკის დაცვას.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მიზნების ირგვლივ მსჯელობს დეპარტამენტებისა და სასწავლო გეგმების კომიტეტის სხდომებზე, კარგად განსაზღვრული შიდა პროცედურებით და მოქმედი რეგულაციების შესაბამისად. გარდა ამისა, მათ ყურადღებით გაანახლეს სასწავლო პროგრამები და კურიკულუმები, რათა მათ დაეკმაყოფილებინათ კვალიფიკაციის სტანდარტები და ციფრული და სოციალური პასუხისმგებლობის ახალი მოთხოვნები. სამაგისტრო პროგრამა შექმნილია ბიზნესის ადმინისტრირების მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მოსამზადებლად, რომელსაც შეუძლია ადაპტირდეს დინამიურ, პროფესიულ გარემოში, ფლობს ისეთ კომპეტენციებს, რომლებიც შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. პროგრამა მიზნად ისახავს დააკმაყოფილოს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნილებები, ასევე, ასახოს საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები და უპასუხოს ინდუსტრიის, მთავრობისა და საზოგადოების განმავითარებელ მოთხოვნებს.

**აღწერა და ანალიზი პროგრამა 3: ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა - 60 კრედიტი.**

სადოქტორო პროგრამა კარგად არის შემუშავებული და მიზნად ისახავს ახალი თაობის პროფესიონალების განვითარებას, რომლებიც დახელოვნებულნი იქნებიან ბიზნესის ადმინისტრირების ძირითად სფეროებში, თანამედროვე მეთოდოლოგიების გამოყენებით, ორიგინალური და ინოვაციური კვლევების ჩატარებაში. სადოქტორო პროგრამის მიზნები შეესაბამება საგანმანათლებლო ბაზრის საჭიროებებს, უნივერსიტეტის მისიას, განვითარების სტრატეგიულ გეგმას და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებებს.

პროგრამა მიზნად ისახავს, რომ უპასუხოს შრომის ბაზრის საჭიროებას ისეთ მკვლევარებზე, რომლებსაც შეუძლიათ დამოუკიდებლად დაგეგმონ, განახორციელონ და გააკონტროლონ ინოვაციური კვლევები; პროგრამა ფოკუსირებულია თანამედროვე ბიზნესსაკითხებზე, ახალი ცოდნის შექმნაზე, ციფრულ მეწარმეობასა და რეგიონულ ბიზნესპროცესებზე.

სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები არიან მაღალკვალიფიციური პროფესიონალები, რომლებიც ჩართულნი არიან უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობაში, აქვეყნებენ თავიანთ კვლევებს საერთაშორისო კვლევით ბაზრებში და წვლილი შეაქვთ სასწავლო პროცესის განხორციელებაში ისინი ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აჭარის რეგიონის საჯარო მმართველობაში, გავლენას ახდენენ რეგიონულ პოლიტიკაზე, სტრატეგიულ ჩარჩოებსა და რეგიონის ბიზნეს გარემოზე.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4: ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 180 კრედიტი.**

პროგრამის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეკონომიკის სექტორმა. პროგრამის ეროვნულ და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობის მიზნით, ჩატარდა შედარებითი „სამიზნე ნიშნულების“ კვლევა, რომელიც მოიცავდა ეროვნულ უნივერსიტეტებსა და საერთაშორისო უნივერსიტეტებს, როგორცაა მორავის უნივერსიტეტი (აშშ), კანისიუსის უნივერსიტეტი (ბუფალო, აშშ), კეროლის უნივერსიტეტი (აშშ), რიდერის უნივერსიტეტი (აშშ). ISM მენეჯმენტისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი (ვილნიუსი, ლიეტუვა), სანვის

უნივერსიტეტი (შაჰ ალამი, მალაიზია) და გონების განვითარების აკადემია (კეიპ ტაუნი) და ა.შ. ეს ნახსენები იყო ანგარიშში და დადასტურდა გასაუბრების დროსაც. შედეგად, პროგრამის პირველადი მიზანია, მოამზადოს ფინანსების ბაკალავრის კურსდამთავრებულები, რომლებიც ფლობენ როგორც თეორიულ, ასევე სპეციალიზებულ ცოდნას ფინანსებში. პროგრამა მიზნად ისახავს ფინანსების მიმართულებით კონკურენტუნარიანი პროფესიონალების ჩამოყალიბებას, რომლებსაც შეუძლიათ დასაქმდნენ შრომის ეროვნულ და გლობალურ ბაზრებზე, საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორებში; რომლებსაც ექნებათ თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისი კომპეტენციები და ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადაპტაციის უნარი. პროგრამა კარგად არის სტრუქტურირებული და მიზნად ისახავს ფინანსების ბაკალავრის ისეთი კურსდამთავრებულების განვითარებას, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან როგორც თეორიული, ასევე სპეციალიზებული ცოდნით.

პროგრამა ფოკუსირებულია კონკურენტუნარიანი, ფინანსების მიმართულებით პროფესიონალების ჩამოყალიბებაზე, რომლებსაც შეუძლიათ დასაქმება სხვადასხვა სექტორში, მათ შორის ბანკებში, საგადასახადო სამსახურებში, სადაზღვევო სექტორში და საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, როგორც ეროვნულ, ისე გლობალურ დონეზე. კურსდამთავრებულები ფლობენ კომპეტენციები, რომლებიც შეესაბამება შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროგრამების შემუშავებაში ჩართული სუბიექტები და საჯარო მმართველობის დაწესებულებები უფრო ღია არიან, რომ სტუდენტებს მიაწოდონ მონაცემები კვლევისთვის და ჩართონ ისინი სტაჟირების პროგრამებში. ამ კონტექსტში, ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტები, როგორებიცაა ბანკები, როგორც წესი უფრო კონსერვატიული მიდგომით გამოირჩევიან თავიანთ საქმიანობაში, სხვა ფინანსურ სტრუქტურებთან შედარებით.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5: სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსები და საბანკო საქმე - 120 კრედიტი.**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - ფინანსები და საბანკო საქმე მიზნად ისახავს სტუდენტებს მისცეს ფინანსებისა და საბანკო სფეროში ყოვლისმომცველი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარები და კრიტიკული აზროვნები. პროგრამის მიზნები ფორმულირებულია დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების მიერ შევსებული გამოკითხვის შედეგების ანალიზის შედეგად. ასევე, უნივერსიტეტი ითვალისწინებს მისი კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელს და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებს დარგობრივ მახასიათებლებთან დაკავშირებით. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, სტრატეგიულ გეგმას და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შინაგანაწესს.

კურსდამთავრებულებს აქვთ უნარი მართონ კომპანიების ფინანსური რესურსები, შეასრულონ პროფესიონალური და ზუსტი ფინანსური ანგარიშგება, მიიღონ გადაწყვეტილებები აქტივების ინვესტიციების, ფინანსური რესურსების შემენისა და მოგების მაქსიმიზაციის შესახებ, ასევე, პროგრამის შედეგად, განივითარონ ორგანიზაციული პრობლემების იდენტიფიცირების, რისკების შეფასების, შედეგების პროგნოზირების უნარი და მარკეტინგული გარემოს კონტექსტში შეძლონ მოქმედებების პრიორიტეტიზაცია. ფაკულტეტი აგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო ადმინისტრაციასთან; ისინი ჩართულნი არიან დიდაქტიკური, მეთოდოლოგიური და კვლევითი თანამშრომლობის სხვადასხვა ასპექტში.

**აღწერა და ანალიზი პროგრამა 6: მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 120 კრედიტი.**

მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია სხვადასხვა უცხოურ და ქართულ უნივერსიტეტებთან, მათ შორის გერმანიის, აშშ-ის, ბრიტანეთისა და იტალიის ინსტიტუტებთან „ბენჩმარქინგის“ საფუძველზე და ეფუძნება შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

პროგრამას აქვს ძლიერი, სპეციალურად მარკეტინგის სფეროსთვის შემუშავებული ამოცანა და მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი, კვლევაზე ორიენტირებული და ისეთი შემოქმედებითი უნარების მქონე სტუდენტების მომზადებას, რომლებსაც აქვთ შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაცია.

ასეთი მომზადება, კურსდამთავრებულებს მისცემს შესაძლებლობას, რომ დასაქმდნენ მენეჯერულ პოზიციებზე როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში. კურსდამთავრებულები მიიღებენ ყოვლისმომცველ ცოდნას პროდუქტებისა და სერვისების გაცვლის პროცესების, მომხმარებელთა ქცევისა და ციფრული მარკეტინგის



შესახებ და ექნებათ უნარი, გამოავლინონ და გაანალიზონ სხვადასხვა სექტორში ბაზრის განვითარება და ბიზნეს გამოწვევები, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით. გარდა ამისა, ისინი განვიითარებენ უნარებს ინფორმაციის შეგროვების, სტრატეგიის შეფასების და მარკეტინგულ პრაქტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში. უნივერსიტეტი ასევე თანამშრომლობს ადგილობრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან ტურიზმისა და წყალმომარაგების სფეროში, რითაც სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს სთავაზობს შესაძლებლობას გაიარონ სტაჟირება და ჩაერთონ შრომის ბაზრის კვლევასა თუ სხვა აქტივობებში. მოწვეული პროფესორი ჩართულია და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამის სწავლის ხარისხზე.

### **აღწერა და ანალიზი -პროგრამა 7: აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 120 კრედიტი**

აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია უმაღლესი განათლების სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, რომლის მიზანია ჩამოაყალიბოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრის საერთაშორისო სტანდარტების სფეროში. პროგრამა ფოკუსირებულია, რომ სტუდენტებს მისცეს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრის დინამიური გარემოსთვის საჭირო პროფესიული უნარ-ჩვევები. უნივერსიტეტის პროგრამაზე სწავლის შედეგად, კურსდამთავრებულებმა გამოავლინეს სიღრმისეული ცოდნა ფინანსური და მენეჯმენტის ანგარიშების მომზადების, ფინანსური ანალიზის ჩატარების, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და შესაბამისი პროგრამული ინსტრუმენტების გამოყენების მხრივ.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ მიაღწიეს პროგრამაში გაწერილ პროფესიულ ამოცანებს და წვლილი შეიტანეს სასწავლო პროგრამების მიზნების გამდიდრებაში, შეფასების კითხვარების შევსების გზით. გარდა ამისა, ისინი ფინანსური აქტივობების შეფასების ტექნიკებს ასრულებენ ლაბორატორიულ კლასებში და აფასებენ რისკებს, IT ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით. პროგრამის სტუდენტები მზად არიან, რომ მოხვდნენ შრომის ბაზარზე და მიიღონ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები. მათ აქვთ სათანადო კომპეტენცია და უნარები, რომ იმუშაონ საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამაში და განავითარონ აუდიტორული მოსაზრებების შინაარსი. აღნიშნული პროგრამა ხაზს უსვამს აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრის სფეროებში ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობას მარეგულირებელ ორგანოებს, ბუღალტერიის პროფესიონალებს და დაინტერესებულ მხარეებს შორის, ასევე, ამ უნარების მქონე კურსდამთავრებულებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად გაზარდონ დარგის განვითარება და დაამკვიდრონ საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც სასარგებლოა როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორისთვის. გარდა ამისა, აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება მოიცავდა „ბენჩმარქინგს“ 15 უცხოურ დაწესებულებასთან და სამ ქართულ უნივერსიტეტთან; ამგვარად, უსდ-მ უზრუნველყო, რომ პროგრამა თანხვედრაში იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან და მოიცავს აქტუალურ სასწავლო კურსებს.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8: საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 180 კრედიტი;**

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა შექმნილია სამუშაო ბაზრისა და საჯარო მმართველობის საჭიროებების, ასევე, საჯარო სექტორში ბოლოდროინდელი მოვლენების საპასუხოდ.

საჯარო მმართველობის პროგრამის მიზნები კარგად არის სტრუქტურირებული და ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო მმართველობის დაწესებულების სპეციფიკას, ამზადებს სტუდენტებს აუცილებელი ცოდნითა და უნარებით.

უნივერსიტეტი ამზადებს კონკურენტუნარიან სპეციალისტებს ცენტრალური და ადგილობრივი საჯარო მმართველობის სფეროში. ადგილობრივი საჯარო ხელისუფლება ჩართულია სასწავლო პროგრამის შემუშავებაში; მან წვლილი შეიტანა საგანმანათლებლო პროცესში სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებისა და სტუდენტების სტაჟირებაზე მიღების მხარდაჭერით. გარდა ამისა, ისინი იზიარებენ საერთო კვლევის ფოკუსს, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის პერსონალთან ჩართვას, რათა ადგილობრივი საზოგადოებისთვის განიხილონ განვითარების გეგმები და სტრატეგიები.

პროგრამის მიზნები აგებულია ისე, რომ შეესაბამებოდეს ბაზრის ანალიზსა და მოთხოვნებს, დამსაქმებლის მოლოდინებს და უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებს. პროგრამის კურსდამთავრებულები ახერხებენ



დასაქმებას სამთავრობო თანამდებობებზე და აქვთ შესაძლებლობა, გააგრძელონ სწავლა მაგისტრატურაში, რაც აძლიერებს მათ ჩართულობას საჯარო თუ პროფესიულ საქმიანობაში და ხელს უწყობს კარიერულ წინსვლას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შრომის ბაზრის კვლევის ანგარიშის ანალიზი
- ბსუ-ს მისია
- ბსუ-ს სტრატეგიული გეგმა
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულება
- იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება
- უცხოური უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამების ანალიზი
- კლასტერში შემავალი სასწავლო პროგრამები
- ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგები

**რეკომენდაციები:** -

**რჩევები:**

- სასურველია, ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციისა და ხილვადობის დონის ამაღლება.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, დონე 6

**რეკომენდაციები:** არა,

**რჩევები:** -

პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, დონე 7

**რეკომენდაციები:** -

**რჩევები:**

- სასურველია სამაგისტრო ნაშრომის შინაარსის მოთხოვნების გაუმჯობესება.

პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირება, დონე 8

**რეკომენდაციები:** არა,

**რჩევები:**

სასურველია, სადოქტორო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია და მეტ სადოქტორო გაცვლით პროგრამაში ჩართვა, სადოქტორო კვლევებისა და პუბლიკაციების ხილვადობის გაზრდის მიზნით.

პროგრამა 4 ფინანსები, დონე 6

არა

**რეკომენდაციები:** არა,

**რჩევები:**

- სასურველია კერძო სექტორის მეტად ჩართვა სტაჟირების სასწავლო მიზნებისა და კურიკულუმების შემუშავებაში.

პროგრამა 5 ფინანსები და საბანკო საქმე, დონე 7

**რეკომენდაციები:** არა,

**რჩევები:**

- სასურველია საბანკო სექტორთან თანამშრომლობის გაზრდა.

პროგრამა 6 მარკეტინგი,  
დონე 7

რეკომენდაციები: არა,

**რჩევები:**

- სასურველია, სასწავლო მიზნებისა და კურიკულუმების განახლების შესაძლებლობის გაანალიზება, მარკეტინგის სფეროში ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მიხედვით.

პროგრამა 7 აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრა, დონე 7

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

პროგრამა 8 – საჯარო მმართველობა – დონე 6

რეკომენდაციები: -

**რჩევები:**

- სასურველია, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობის გადრმავება.  
შეფასება 6

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა შია მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, დონე 6	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, დონე 7	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირება, დონე 8	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 ფინანსები, დონე 6	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 ფინანსები და საბანკო საქმე, დონე 7	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 მარკეტინგი, მე-7 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრა, დონე 7	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 საჯარო მმართველობა, დონე 6	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

## **კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ბიზნესის ადმინისტრირების, ფინანსების, ფინანსების და საბანკო საქმის, მარკეტინგის, აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრის და საჯარო მმართველობის ამ კლასტერში შემავალი პროგრამები შექმნილია იმისთვის, რომ სტუდენტებს სწავლების ყველა საფეხურზე მიაწოდოს ფართო განათლება ბიზნესში, ფინანსებში, საჯარო მმართველობაში, აღრიცხვაში, მარკეტინგში, სოციალური მეცნიერებებსა და სხვა დისციპლინებში.

კლასტერში შემავალი პროგრამების საერთო შედეგები მოიცავს კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრის და შემეცნებითი პროფესიონალიზმის კომპეტენციების განვითარებას სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში.

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ინტერვიუს დროს, სტუდენტები და პროგრამის კურსდამთავრებულები ყურადღებას ამახვილებდნენ მათ მიერ შექმნილ უნარებზე, განსაკუთრებით კი ბიზნესთან, მმართველობასთან, ბაზართან და აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრასთან დაკავშირებული რთული საკითხებისა და პრობლემების ანალიზის, ბიზნესის შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების მიმართულებით.

ყველა პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტებს შორის გუნდური მუშაობას და თანამშრომლობას. ამ თანამშრომლობას უფრო აძლიერებს ის ფაქტი, რომ ფინანსების, საბანკო საქმის და ბუღალტერიის მიმართულებით, სტუდენტები იყენებენ სპეციალიზებულ პროგრამას პრაქტიკური გაკვეთილების, ვორქშოპების და ჯგუფური ქეისების ანალიზის დროს, რომელიც ეფუძნება რეალურ სექტორულ აქტორებს და სუბიექტებს. დამსაქმებლებთან გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ უნივერსიტეტთან პროგრამის მიზნებისა და შედეგების განსაზღვრაში და ასევე, ღია არიან სტუდენტების სტაჟირების პროგრამაზე მისაღებად.

გასაუბრების შედეგებმა და კლასტერში შემავალი პროგრამების ყველა მხარის მიერ მოწოდებულმა მტკიცებულებებმა გამოავლინა, რომ სწავლის შედეგები ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული, შეესაბამება მის მიზნებსა და კონკრეტულ სასწავლო სფეროს, ასახავს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელიც სტუდენტებმა პროგრამის დასასრულს უნდა შეიძინონ. კლასტერში შემავალი პროგრამები სტუდენტებს აძლევს ცოდნას სამეცნიერო პრინციპების შესახებ და რთავს მათ სამეცნიერო პრაქტიკაში, ამზადებს სტუდენტებს გააგრძელონ კარიერა სამეცნიერო კვლევების მიმართულებით, ადგილობრივ და ეროვნულ შრომის ბაზარზე.

პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ასევე უნივერსიტეტის და ეკონომიკისა და ბიზნესისა და იურიდიული და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიას. პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრირებულია პარტნიორი საუნივერსიტეტო პროგრამების საუკეთესო პრაქტიკა.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 180 კრედიტი.**

ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის შედეგები მკაფიოდ არის განსაზღვრული პროფესიული სტანდარტებისა და სამართლებრივი ჩარჩოს მიხედვით. ისინი ჩამოყალიბდა გამოკითხვის შედეგებისა და ბაზრის კვლევის საფუძველზე, რომელიც დაკავშირებულია შრომის ბაზრის საჭირო კომპეტენციებთან და შეესაბამება უნივერსიტეტის საშუალოვადიანი პოლიტიკის დოკუმენტების მისიასა და სტრატეგიულ მიმართულებებს.

პროგრამა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა შეძლონ ზოგადი მენეჯმენტის პრინციპების გამოყენება პრაქტიკულ ბიზნეს სიტუაციებში და გაანალიზონ ბიზნეს-ეკონომიკური გარემო. გარდა ამისა, პროგრამის შედეგი ფოკუსირებულია ორგანიზაციულ საქმიანობასთან დაკავშირებით პრაქტიკული და თეორიული უნარების შექმნაზე, ავითარებს რა კომპანიის ეფექტური გეგმების შესაქმნელად საჭირო უნარებს.

### **აღწერა და ანალიზი პროგრამა 2: ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 120 კრედიტი.**

ზუსტად შემუშავებული და პროფესიონალურად ჩამოყალიბებული პროგრამის შედეგები მიუთითებს, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები აღჭურვილნი არიან ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ფართო კომპეტენციებითა და კვლევითი უნარებით. პროგრამის კოორდინატორებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ არსებობს მოთხოვნა პროგრამის კურსდამთავრებულებზე, რომ დასაქმდნენ სხვადასხვა ორგანიზაციულ და სამართლებრივ სტრუქტურებში არსებულ ვაკანტურ ადგილებზე, მათ შორის, სასტუმროებში, ფინანსურ ინსტიტუტებში და საჯარო მმართველობის უწყებებში, სადაც მათ შეუძლიათ დაიკავონ საშუალო ან მაღალი რგოლის მენეჯერების, ექსპერტების, კონსულტანტების ან ანალიტიკოსების პოზიციები.

ბსუ-ში სწავლის დროს მიღებული ცოდნა, გაგება და პასუხისმგებლობა, მათ მიერ შეძენილ უნარებთან ერთად, ასევე, საშუალებას მისცემს სტუდენტებს დაიკაონ შესაბამისი პოზიციები კერძო ან სამთავრობო ორგანიზაციებში და ეფექტური კონკურენცია გაუწიონ სხვა ეროვნული სასწავლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებს. ფაკულტეტის დონეზე, სასწავლო შედეგების გასაუმჯობესებლად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც ჩაატარებს პროგრამის თითოეულ მიზანთან დაკავშირებული სწავლის შედეგების ყოველწლიურ ანალიზს. ამ ანალიზის შედეგები, შესაბამის რეკომენდაციებთან ერთად, განიხილება სასწავლო გეგმის კომიტეტის სხდომებზე და მტკიცდება უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მიერ.

**აღწერა და ანალიზი პროგრამა 3: ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა - 60 კრედიტი.**

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამამ სწავლის შედეგები დაადგინა ფაკულტეტის რეკომენდაციების, აკადემიური დისციპლინისა და კონკრეტული კვალიფიკაციის სტანდარტების გათვალისწინებით. სადოქტორო პროგრამა ასევე ითვალისწინებს დამსაქმებლების შეხედულებებს, კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას და უკუკავშირს პროგრამის პროფესორ-მასწავლებლებისგან.

სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც ხელს უწყობს მაღალკვალიფიციური კომპეტენციების, მათ შორის ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის განვითარებას. სადოქტორო პროგრამის შინაარსი ფასდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის, პროგრამის სწავლის შედეგებისა და სხვა რელევანტური შედეგების თანმიმდევრული შეფასებით.

პროგრამის განმავლობაში, დოქტორანტებს ხელმძღვანელობენ ფაკულტეტის მიერ აკრედიტებული პროფესორები, რომელთაც აქვთ ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსა და სადოქტორო სადისერტაციო თემის შესახებ სიღრმისეული ცოდნა. გარდა ამისა, დოქტორანტები და პროფესორები თანამშრომლობენ სხვადასხვა კვლევით პროექტებზე და ერთობლივად აქვეყნებენ თავიანთ მიგნებებს. დოქტორანტების ნაწილი დასაქმებულია როგორც უნივერსიტეტის სასწავლო პერსონალი ან მოწვეული პროფესორის სტატუსით.

ბიზნესის ადმინისტრირების დარგში სადოქტორო პროგრამის დამთავრების შემდეგ არსებითი კომპეტენციების გასავითარებლად შექმნილი აქტივობები, ფასდება ფაკულტეტის კომიტეტის მიერ დამტკიცებული კონკრეტული კრიტერიუმების საფუძველზე. სადოქტორო პროგრამის აკადემიური კურსების შინაარსი და დოქტორანტურის კოორდინატორებისა და კონსულტანტების კვალიფიკაცია ასევე ფასდება მკაფიო შიდა წესებისა და პროცედურების საფუძველზე. სწავლის შედეგებზე დაყრდნობით იქმნება სასწავლო გეგმის რუკა.

**აღწერა და ანალიზი პროგრამა 4: ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 180 კრედიტი.**

ფინანსების საბაკალავრო პროგრამა შექმნილია იმისთვის, რომ სტუდენტებს მიაწოდოს ყოვლისმომცველი ცოდნა ფინანსური სისტემის, ბაზრების, მენეჯმენტისა და ტექნოლოგიების თეორიული ჩარჩოებისა და პრაქტიკული გამოყენების შესახებ. ამ პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ თანამედროვე ფინანსური თეორიების ფორმულირების, ფინანსური მონაცემების ანალიზის და ფინანსური ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენების უნარი. სასწავლო პროგრამა ხაზს უსვამს ეთიკური ქცევისა და კომუნიკაციის უნარების მნიშვნელობას ფინანსურ ინდუსტრიაში. სწავლის შედეგები შედარებით შეესაბამება პროგრამის მიზნებს; უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა შეიძინონ აუცილებელი კომპეტენციები და უნარები, რომლებიც საჭიროა ფინანსური სერვისების გასაუმჯობესებლად და სხვადასხვა ერთეულებსა და ინსტიტუტებში ფინანსურ ოპერაციებში ეფექტურად ჩასაბმელად. სასწავლო გეგმის კომიტეტი არის პასუხისმგებელი და ამონიტორინგებს პროგრამის ყველა დაინტერესებული მხარის გამოკითხვების შედეგებს, ატარებს მუდმივ მიმოხილვებსა და დისკუსიებს ამ სწავლის შედეგების შესაბამისობასა და მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

**აღწერა და ანალიზი პროგრამა 5: სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსები და საბანკო საქმე - 120 კრედიტი.**

სტუდენტები სრულყოფილად ერკვევიან ფინანსებისა და საბანკო სფეროს შესაბამის სამეცნიერო პრინციპებსა და მეთოდოლოგიებში. მათ აქვთ კვალიფიკაცია, რომ ფინანსური მონაცემები კრიტიკულად გააანალიზონ და შეაფასონ, რითაც აძლიერებენ პრობლემის გადაჭრისა და კრიტიკული აზროვნების უნარებს. ფინანსების საბაკალავრო პროგრამა ამზადებს სტუდენტებს ფართო კარიერული შესაძლებლობებისთვის სხვადასხვა სექტორში, მათ შორის ფინანსურ ბაზრებზე, კორპორატიულ ფინანსებში, საჯარო ფინანსებში, დაზღვევის სფეროში, ფინანსურ ინსტრუმენტებსა და საბანკო საქმეში. გარდა ამისა, ეს პროგრამა უზრუნველყოფს მყარ საფუძველს შემდგომი აკადემიური კარიერისთვის, როგორცაა მაგისტრატურა და სადოქტორო პროგრამები, და გადამწყვეტ როლს ასრულებს კვლევითი ინიციატივების ხელშეწყობაში და პოლიტიკისა და ეკონომიკური სტრატეგიების შემუშავებაში. უნივერსიტეტში მოქმედებს სწავლის შედეგების შიდა წესები. პროგრამის შედეგები შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას.

**აღწერა და ანალიზი პროგრამა 6: მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 120 კრედიტი.**

მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ხელმძღვანელობს „ბენჩმარკინგის“ ანალიზის, შრომის ბაზრის კვლევის ანგარიშის და აკადემიური პერსონალისა და პროგრამის კოორდინატორის უკუკავშირის შედეგებით. მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამის ეს შედეგები სრულად ემთხვევა პროგრამის მიზნებს და ხაზს უსვამს კომპეტენციებს მარკეტინგის თეორიებში, ბაზრის ცოდნას, გაგებას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიას; უზრუნველყოფილია, რომ შედეგები იყოს ეფექტურად გამოყენებადი და მიღწევადი. სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია მომხმარებელთა ქცევასა და ბაზრის ანალიზზე სტრატეგიული მარკეტინგით დაინტერესებული პირებისთვის. პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი ძალიან ადვილად ერთვებიან პრაქტიკულ მარკეტინგულ საქმიანობაში. მდგრადობა და ინტერნაციონალიზაცია ბსუ-ში მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამის საგანმანათლებლო გამოცდილების განუყოფელი კომპონენტებია.

**აღწერა და ანალიზი პროგრამა 7: სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აღრიცხვა, აუდიტი და ბეგვრა - 120 კრედიტი.**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - აღრიცხვა, აუდიტი და ბეგვრა - გთავაზობთ თანამედროვე განათლებას, რომელიც მორგებულია რეგიონალური აუდიტორული ფირმების, კორპორაციებისა და საგადასახადო სერვისების სტანდარტებზე. სწავლის შედეგების ლოგიკური სტრუქტურა იძლევა შესაძლებლობას, რომ კურსდამთავრებული მოემზადოს აუდიტორის ავტორიზაციისთვის და აღრიცხვა, აუდიტი და ბეგვრა ეროვნულ და საერთაშორისო სერტიფიცირების პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად. კურსდამთავრებულები, როგორც წესი, აგრძელებენ კარიერას აუდიტის, კონსულტაციის, ბუღალტერიის, ეკონომიკისა თუ მენეჯმენტის სფეროში, როგორც ბიზნესის, ასევე საჯარო ადმინისტრაციის სექტორებში. სასწავლო პროგრამა მოიცავს სპეციალიზებულ კურსებს და დასკვნით სემესტრში მთავრდება სამაგისტრო ნაშრომით, რაც ხაზს უსვამს სტუდენტის კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესებას, როგორც პროგრამის მნიშვნელოვან კომპონენტს. სტუდენტის მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ ის უნდა ფლობდეს ძლიერ ანალიტიკურ უნარებს სამაგისტრო კვლევითი ნაშრომის შესასრულებლად და პრაქტიკული და თეორიული მიგნებების რეალურ სექტორში გამოსაყენებლად.

სტუდენტები უნდა დაეუფლონ აღრიცხვა, აუდიტი და ბეგვრის სხვადასხვა მეთოდებსა და ტექნიკას, რომ შეეძლოს დამოუკიდებლად ან ერთობლივად დაგეგმონ და შეასრულონ სამუშაო პოზიციაზე გათვალისწინებული დავალებები. გარდა ამისა, კანდიდატებს აქვთ უნარი მოიძიონ, შეაფასონ და ეფექტურად წარმოადგინონ ინფორმაცია პრობლემების გადასაჭრელად, ასევე, გაიაზრონ ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის ანგარიშების მარეგულირებელი და სამართლებრივი შედეგები. ბუღალტერიასა და და ბეგვრის საკითხებში, სტუდენტებისთვის ფაკულტეტზე სხვადასხვა შეხვედრების, ვორქშოპებისა და აქტივობების ორგანიზებით, უნივერსიტეტი უწყვეტად აახლებს ცოდნას. პროგრამის სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) დანერგვა ხელს უწყობს საგანმანათლებლო მიზნების მიღწევას. სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა და განიხილა სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები, მათ შორის პროგრამის მნიშვნელობა და განხორციელება. სამუშაო ჯგუფმა ისინი სასწავლო გეგმის კომიტეტის სხდომებზე დაამტკიცა.

უნივერსიტეტს აქვს მკაფიო შიდა წესები და სწავლის შედეგების მონიტორინგის პროცესები. ასევე, აღრიცხვა, აუდიტი დაბეგრვა სამაგისტრო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩატარდა „ბენჩმარკინგის“ ანალიზი, სადაც შეისწავლეს თხუთმეტი საერთაშორისო ინსტიტუტი და სამი ქართული უნივერსიტეტი (თსუ, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ქუთაისის უნივერსიტეტი), ეროვნული და საერთაშორისო ხილვადობის გაზრდის მიზნით.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8: საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა საჯარო მმართველობაში – 180 კრედიტები.**

კერძოდ, საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები აღწერს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს. საჯარო სექტორში დასაქმება საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფუნდამენტური კომპონენტია. პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ ისეთ სფეროებში, როგორცაა სამართალი, ადგილობრივი საჯარო ხელისუფლება, მთავრობა და სხვადასხვა სფეროები.

აჭარის საჯარო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრისას ისაუბრეს ბსუ-სთან არსებულ ხელშეკრულებაზე, რომელიც ფოკუსირებულია თანამშრომლობაზე საჯარო მმართველობის საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით, პრაქტიკული უნარების შეძენასა და კვლევით ინიციატივების მხადაჭერაზე. ამ პარტნიორობის მთავარი კომპონენტია უნივერსიტეტის როლი, როგორც რეგიონში საჯარო ადმინისტრაციის სპეციალისტების მომზადების პირველადი წყაროს, რომელიც უზრუნველყოფს ამ მიმართულების პროფესიონალების ადეკვატურად მომზადებას, პროგრამის მიზნების შესაბამისად.

პროგრამის კურსდამთავრებულები ხაზს უსვამენ, რომ ქართულად და ინგლისურად წერის უნარების განვითარება მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები იყვნენ კონკურენტუნარიანი სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებში პოზიციებისა დასაკავებლად.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი მრავალფეროვანი საგნების საფუძვლიანი შესწავლა ამზადებს სტუდენტებს, რომ მიაღწიონ წარმატებას სხვადასხვა სამუშაო პოზიციაზე ან გააგრძელონ სწავლა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საჯარო ადმინისტრირების პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმი
- სასწავლო გეგმის კომიტეტის სხდომების ოქმები
- საჯარო ადმინისტრაციის საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის სწავლის შედეგები (იხ. პროგრამა)
- შრომის ბაზრის ანალიზის მტკიცებულება
- ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრებები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -**

**კლასტერის საერთო რჩევები:**

- - სასურველია, ყველა პროგრამის სწავლის შედეგების განახლება დიגיტალიზაციისა და მდგრადობის ასპექტებით;
- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის შინაარსის მოთხოვნების გაუმჯობესება.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა შია მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, დონე 6	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, დონე 7	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირება, დონე 8	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 ფინანსები, დონე 6	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 ფინანსები და საბანკო საქმე, დონე 7	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 მარკეტინგი, დონე 7	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრა დონე 7	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8, საჯარო მმართველობა, დონე 6	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ჩარჩო კარგად არის განსაზღვრული და ეფუძნება მკაფიო მეთოდოლოგიას. მასში წარმოდგენილია სწავლების მეთოდებისა და კვლევის ასპექტების გამჭვირვალე, მკაფიო, სანდო და რეგულარული შეფასება. დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ თითოეული პროგრამის სწავლის შედეგები დაკავშირებულია კონკრეტულ კურსთან ან კვლევის კომპონენტებთან და შეფასების მეთოდებთან, რომლებიც გამოიყენება მათი შესრულების შესაფასებლად.

თითოეული შეფასების პერიოდი მითითებულია ბიზნესის ადმინისტრირების, ფინანსების, საჯარო მმართველობის, მარკეტინგის, აღრიცხვა, აუდიტი და ბეგერის ყველა სასწავლო პროგრამისთვის; შემუშავებულია სამიზნე ნიშნულები.

გარდა ამისა, სავალდებულო შესავალი კურსების შეფასების სპეციფიკური კრიტერიუმები დეტალურად არის აღწერილი სწავლის შედეგების შესაფასებლად, რომელიც მოიცავს როგორც ზოგად, ასევე სპეციალიზებულ ცოდნას შესაბამის სფეროებში.

კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამების მოსალოდნელი სწავლის შედეგები განისაზღვრა „ბლუმის ტაქსონომიის“ მიხედვით, რომელიც მოიცავს დამახსოვრებას, გაგებას, გამოყენებას, ანალიზს, შეფასებას და შემოქმედებას სასწავლო სფეროებში. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე დოქტორანტი იძენენ მნიშვნელოვან უნარებს. ერთერთმა დოქტორანტმა აღნიშნა, რომ სადოქტორო დისერტაციის ხარისხის სტანდარტები ბსუ-ში ძალიან მაღალია.

განათლების სამივე საფეხურზე, შემაჯამებელი შეფასებები გამოიყენება სტუდენტების ცოდნის შესაფასებლად ტესტების, ქვიზებისა და თითოეული კურსისთვის სპეციალურად შერჩეული დავალებების მეშვეობით.

მოწოდებული ინფორმაცია, დოკუმენტები და ინტერვიუები მოწმობს, რომ უნივერსიტეტი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ჩამოყალიბებაში.

კლასტერში შემავალი პროგრამების ფაკულტეტი აანალიზებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგებს. შედეგების შეფასება უნივერსიტეტს ეხმარება პროგრამის ეფექტურობისა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაში.

სალექციო-პრაქტიკული სესიების ზედამხედველობა ფაკულტეტის დეკანის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და დეპარტამენტის მენეჯმენტის მონაწილეობით ასევე წარადგენს სწავლის შედეგების შეფასების კომპონენტს.

მონიტორინგის პროტოკოლი სტრუქტურირებულია შემდეგი კრიტერიუმის ირგვლივ: „სწავლება მიზნად ისახავს სილაბუსში ასახული სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიღწევას“. ამ კრიტერიუმის დაბალი შეფასება იწვევს შემდგომ დისკუსიას, რაც საჭიროებს დამატებით დაკვირვებებს, სილაბუსში დეტალური აქტივობების შემოწმებას, გამოყენებული სასწავლო მეთოდების შეფასებას და წარმოდგენილი სალექციო მასალების განხილვას. შესაბამისად, მიგნებების საფუძველზე, შესაძლებელია სასწავლო კურსის სილაბუსის კორექტირება. ამიტომ, სწავლის შედეგების შეფასება თითოეულ ეტაპზე ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესებას.

სადოქტორო პროგრამისთვის „კვლევის კომპონენტის“ შეფასება ხდება შემდეგი სისტემით: შესანიშნავი (summa cum laude) – წარჩინებული ნაშრომი; ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც ძლიერ აჭარბებს მოთხოვნებს; კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც აღემატება მოთხოვნებს; საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც აკმაყოფილებს ძირითად მოთხოვნებს; დამაკმაყოფილებელი (rite) –



შედეგი, რომელიც მაინც აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მიუხედავად ნაკლოვანებებისა; წარუმატებელი (არასაკმარისი) – არადაამაკმაყოფილებელი ნაშრომი, რომელიც არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების გამო; ჩაიჭრა - შედეგი, რომელიც საერთოდ არ აკმაყოფილებს არცერთ მოთხოვნას.

კლასტერში შემავალი პროგრამების სწავლის შედეგები სპეციალურად შექმნილია ისე, რომ შეესაბამებოდეს სტუდენტების საჭიროებებს და პრიორიტეტებს, ისინი ხაზს უსვამს ეთიკური და დემოკრატიული პრინციპების მნიშვნელობას. გარდა ამისა, არსებობს სწავლის შედეგების პერიოდული შეფასების სისტემატური მიდგომა, რომელიც მოიცავს კონსულტაციებს კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ევალება შეფასებასთან დაკავშირებული ყველა პროცესის მონიტორინგი, სემესტრის და საგამოცდო სესიების განმავლობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- გამოცდების ჩატარების წესი;
- სტუდენტის სახელმძღვანელო;
- ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესები;
- შრომის ბაზრის ანალიზის ანგარიში;
- ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრებები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: - კლასტერის

საერთო რჩევები:

- სასურველია, უნივერსიტეტის დაინტერესებული მხარეების დივერსიფიცირება ეკონომიკის ყველა სფეროს წარმომადგენლების მოზიდვით (სოფლის მეურნეობა, მომსახურება, ტრანსპორტი და ა.შ.) და მეტი ადგილობრივი საჯარო ხელისუფლების ჩართვა პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრაში.
- სასურველია, საერთაშორისო პარტნიორების სიის და ყველა პროგრამის ხილვადობის გაფართოება.
- სასურველია, უნივერსიტეტის ვებგვერდის ინგლისურენოვანი ვერსიის ინფორმაციის განახლება.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: რეკომენდაციები: -


რჩევები: -

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობა ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, დონე 6	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, დონე 7	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირება, დონე 8	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 ფინანსები, დონე 6	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 ფინანსები და საბანკო საქმე, დონე 7	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 მარკეტინგი, მე-7 დონე	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრა, დონე 7	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 საჯარო მმართველობა, დონე 6	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>



#### 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

#### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ამ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, ბსუ-ში პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. კლასტერში შემავალი პროგრამების (8 პროგრამა) არჩევითი სასწავლო კურსები სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაიღრმავონ ცოდნა ნებისმიერ სფეროში. პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგია არის სრული და გამოიყენება ეროვნული და შიდა მარეგულირებელი სტანდარტების შესაბამისად.

უნივერსიტეტი იცავს საკანონმდებლო ჩარჩოს მოთხოვნებს და უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას განათლების დასკვნით ეტაპზე. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა შემუშავებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო გეგმის მიხედვით, რეგულაციებითა და პროცედურებით, რომლებიც ცნობილია უნივერსიტეტის მენეჯმენტის, პროგრამის ლიდერებისა და ფაკულტეტისთვის; ისინი იცავენ აღნიშნულ პროცედურებსა და რეგულაციებს. ამ პროცედურების დაცვა ხელს უწყობს სასწავლო პროგრამის მიზნების მიღწევას. თუმცა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გამოთქვეს პრაქტიკული აქტივობების საათობრივი რაოდენობის გაზრდის სურვილი.

გასაუბრებისას დამსაქმებლებმა დაადასტურეს აქტიური ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურისა და შინაარსის შემუშავებაში, მტკიცე მხარდაჭერა და ბსუ-სთან თანამშრომლობის გაგრძელება.

ისინი ჩართულნი არიან სასწავლო პროგრამის შემუშავებისა და განხილვის ყველა ეტაპზე, რომელიც მოიცავს I, II და III ციკლებს. „ბიზნესის ადმინისტრირება“ საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსისა და

სტრუქტურის შემუშავებისას ძირითად დოკუმენტად აღიარებულია „ბიზნესის ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი“; ასევე, ჩატარებული კვლევის შედეგები, რომელიც მოიცავს დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვებს. საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია სამაგისტრო დონის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად, სათანადოდ არის მორგებული მისი შინაარსი, სტრუქტურა, მოცულობა და სირთულე.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ არის ხელმისაწვდომი და გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. პროგრამები შეესაბამება უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმას. პროგრამა შედგება სულ 180 კრედიტისაგან, რომელიც მოიცავს 30 კრედიტს თავისუფალი კომპონენტებისთვის ან დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, 11 კრედიტს ძირითადი სასწავლო სფეროს არჩევითი კურსებისთვის და 139 კრედიტს სავალდებულო კურსებისთვის. პროგრამის სტრუქტურის თანმიმდევრულობა უზრუნველყოფილია ლოგიკური გამოყენებითი პრინციპებით.

დამსაქმებლის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა დამსაქმებლის კითხვარების მნიშვნელობას და დაადასტურა მათი კომპანიების ძალისხმევა სტუდენტების დასაქმებისადმი, სტაჟირების უზრუნველყოფისა და საგანმანათლებლო გეგმის გადახედვაში წვლილის შეტანისადმი. საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანა საჭიროებს ოფიციალურ დამტკიცებას, მათ უშუალოდ განხორციელებამდე. სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე გაცემული ყველა რეკომენდაცია დოკუმენტირებულია შეხვედრის ოქმებში; მათი შესრულების მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. უნივერსიტეტს აქვს მკაფიო წახალისების მექანიზმი მასწავლებლებისა და დოქტორანტებისთვის, რათა მათ გაზარდონ კვლევის კომპონენტის ხილვადობა.

დასაფასებელია, რომ უნივერსიტეტი მხარს უჭერს ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო და პროფესიულ განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსებას (კონფერენციები, ტრენინგები, სიმპოზიუმები და ა.შ.) და ხელს უწყობს სამეცნიერო სტატიებისა და სამეცნიერო კვლევის შედეგების გამოქვეყნებას საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში.

### **აღწერა და ანალიზი – პროგრამა 1: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 180 კრედიტი.**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ეფუძნება ბსუ-ს შიდა პროცედურას და ეროვნულ წესებს. პროგრამის ინიცირებისა და შემუშავების პროცესში, უნივერსიტეტის მენეჯმენტი თანამშრომლობდა პერსონალთან, სტუდენტებთან, პროფესორებთან და უნივერსიტეტის გარე დაინტერესებულ მხარეებთან.

პროგრამა მოიცავს არჩევით კომპონენტს. იგი შემუშავებულია ისე, რომ პროგრამა ეფექტური გახადოს საგანმანათლებლო პროცესის კონცეფციების, კვლევის ელემენტების, პრაქტიკული სამუშაოების გამოყენებით და სტუდენტებს გააცნოს შესაბამისი ინდუსტრია სხვადასხვა აკადემიური კურსების, შემთხვევის შესწავლისა და დიდაქტიკური პროექტების მეშვეობით. სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

### **აღწერა და ანალიზი – პროგრამა 2: ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 120 კრედიტი.**

პროგრამა შექმნილია სამაგისტრო განათლების სტანდარტების შესაბამისად, მისი შინაარსის, სტრუქტურის, მოცულობისა და სირთულის მიხედვით. პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია და ნაწილობრივ შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებსაიტზე. სამაგისტრო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია კვლევითი კომპონენტი, რომელიც მიმართულია მაგისტრატურის სტუდენტების დამოუკიდებელი კვლევის უნარების განვითარებაზე. აკადემიურ მენეჯმენტთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან შეხვედრისას ითქვა, რომ სასწავლო პროგრამის ფარგლებში სტაჟირება ფასდება ინსტიტუციური რეგულაციების მიხედვით. პროგრამა სტრუქტურირებულია ორ წელზე და მოიცავს ოთხ სემესტრს; სასწავლო გეგმა მოიცავს თეორიულ კონცეფციებს და პრაქტიკულ გამოყენებას. ის შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და კრედიტების გადაცემის ევროპულ სისტემას; პროგრამა შეადგენს 120 ECTS კრედიტს.

ეს მოიცავს 80 ECTS-ს, რომელიც გამოიყოფა სავალდებულო კურსებზე (70 ECTS) და არჩევით კურსებზე (10 ECTS), 10 ECTS-ს, რომელიც განკუთვნილია სტაჟირებისთვის და 30 ECTS სამაგისტრო ნაშრომისთვის. პროგრამის ჩარჩო

უზრუნველყოფს, რომ თითოეული კომპონენტი სპეციალურად შეიქმნას განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად შესაბამისი მოცულობის, პედაგოგიური მეთოდებისა და შეფასების კრიტერიუმების მეშვეობით.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3: ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა - 60 კრედიტი.**

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა შექმნილია კონკრეტული მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად სტრუქტურირებული სასწავლო გეგმის მეშვეობით, რომელიც აერთიანებს აკადემიურ და სამეცნიერო კომპონენტებს, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულებისთვის ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის კვალიფიკაციის მინიჭებას.

პროგრამის საბოლოო სტრუქტურა და შინაარსი შემუშავებულია კვალიფიციური აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ შეტანილი წვლილის საფუძველზე, არსებული რესურსების, აკადემიური პროცესის შეფასებებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევისა და დამსაქმებლის მოთხოვნების შესაბამისად.

სადოქტორო პროგრამა ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის; დეტალები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებსაიტზე. უნივერსიტეტი სთავაზობს დოქტორანტებს შესაძლებლობას გამოაქვეყნონ და წარუდგინონ თავიანთი კვლევის შედეგები ბიზნეს საზოგადოებას. ფაკულტეტი პასუხისმგებელია სადოქტორო პროგრამაზე.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4: ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 180 კრედიტი**

ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია კონკრეტული მიზნებისა და სწავლის შედეგების შესასრულებლად, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრული სტრუქტურისა და შინაარსის განაწილებას, რომელიც შეესაბამება სასურველი კომპეტენციების მიღწევის წინაპირობებს.

პროგრამა შედგება 180 კრედიტისაგან, 137 კრედიტი ეთმობა ძირითადი სასწავლო დარგის სავალდებულო კურსებს, 13 კრედიტი არჩევით კურსებს და 30 კრედიტი გამოყოფილია თავისუფალ კომპონენტებზე ან დამატებით საგანმანათლებლო შესაძლებლობებზე.

ის შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოს, რაც უზრუნველყოფს მისანიჭებელი კვალიფიკაციის, პროგრამის შინაარსისა და სწავლის შედეგების თანმიმდევრულობას და ინტეგრირებას. ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საბოლოო სტრუქტურა უზრუნველყოფს მოქნილობის მნიშვნელოვან დონეს, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს სწავლა მოარგონ კონკრეტულ აკადემიურ ინტერესებს.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5: სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსები და საბანკო საქმე - 120 კრედიტი**

ბსუ-ის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსები და საბანკო საქმე აკმაყოფილებს უმაღლესი განათლების სტანდარტებს და მას ახორციელებს ფინანსების, საბანკო და სადაზღვევო საქმეთა დეპარტამენტი. უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულმა სამუშაო ჯგუფმა შეაფასა ფინანსური სექტორის მახასიათებლები და სასწავლო პროგრამის შემუშავებაში ჩართო დამსაქმებლის გამოხმაურება.

პროგრამა მოითხოვს ფინანსებისა და რისკის მართვის ფუნდამენტურ ცოდნას, რომელიც სტუდენტმა უნდა მიიღოს ბაკალავრის საფეხურზე (120 კრედიტი).

პროგრამა ამზადებს სტუდენტებს ფინანსური სფეროს თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით; პროგრამა დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ ფაკულტეტის საბჭოს სხდომის გადაწყვეტილებების შემდეგ. სტუდენტები, რომლებიც მიისწრაფიან გააუმჯობესონ თავიანთი აკადემიური და სპეციალიზებული კარიერა ფინანსებსა და საბანკო საქმეებში, აღწევენ შესაბამის ბალანსს პროგრამის თეორიული კურსის ერთეულებითა და პრაქტიკული, გამოყენებითი კომპონენტებით.

ეს წონასწორობა ხელს უწყობს უნარების სრული კომპლექტის განვითარებას, რომელიც შეესაბამება ფინანსური ბაზრის ტენდენციებს, მზარდად რთულ შრომის ბაზარზე, რომელშიც მოუწევთ შესვლა პროგრამის დასრულების შემდეგ. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ რეგიონის საბანკო სექტორი არც თუ ისე ღიაა სტაჟირებისა და კვლევისთვის.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აქტიურად არის ჩართული ინიციატივების განხორციელებაში, რომლებიც მიზნად ისახავს ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გაღრმავებას და მათ აკადემიურ საქმიანობაში ინტეგრირებას. ფინანსების და საბანკო საქმის სტუდენტები ორი წლის განმავლობაში სწავლობენ თეორიული და

პრაქტიკული ფინანსების სრულ სპექტრს, ეს მოიცავს ისეთ თემებს, როგორცაა საჯარო ფინანსები, პორტფელის თეორია, კორპორატიული ფინანსები, ფინანსური ბაზარი, სტატისტიკა და ფინანსური ანალიზი, ასევე ფინანსური ინსტიტუტების და რეალური ბიზნესის როლი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.

ფინანსების და საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია უსდ-ში განსაზღვრული მეთოდოლოგიით. მას ახორციელებენ ფაკულტეტის წევრები, მათ შორის მასწავლებლები, პროფესორები და მკვლევარები; პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტების ცოდნის მუდმივ გაუმჯობესებაზე. ფინანსების და საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს კრიტიკულ აზროვნებას, სიღრმისეულ სწავლებას და ეთიკურ ბიზნეს პრაქტიკას. კვალიფიკაცია ფინანსებსა და საბანკო საქმეში შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6: მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 120 კრედიტი**

მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს მარკეტინგის სფეროში მოწინავე აკადემიური გამოცდილების ჩამოყალიბებას, რაც სტუდენტებს აძლევს აუცილებელ თეორიებს, ცნებებსა და უნარებს, რომლებიც საჭიროა ბაზარზე პროდუქტების ეფექტური განთავსებისთვის და კონკურენტუნარიან შრომის ბაზარზე წარმატებით მუშაობისთვის. საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარეობას მკაფიო პროცედურა არეგულირებს. პროგრამის კოორდინატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კურიკულუმების კომიტეტის გადაწყვეტილება გადაწყვეტია პროგრამის დამტკიცებისთვის. ეს გადაწყვეტილება სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებით განიხილება ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე; მას ამტკიცებს აკადემიური საბჭო. სასწავლო პროგრამა მოიცავს კურსების მრავალფეროვან სპექტრს, ინდუსტრიის აქტორებთან თანამშრომლობას და პრაქტიკულ სწავლებას რეალური შემთხვევის შესწავლით და ბაზრის კვლევის პროექტებით, რითაც ამდიდრებს როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სტუდენტურ გამოცდილებას. ამ პროგრამისთვის გამოყენებული სწავლების მეთოდები მოიცავს შემთხვევის შესწავლას, სემინარებს, გუნდურ მუშაობას და პრობლემების გადაჭრის სავარჯიშოებს, რომლებიც შექმნილია მაგისტრანტი სტუდენტის აქტიური ჩართულობის გასაძლიერებლად, თეორიის პრაქტიკასთან ინტეგრირებისთვის. პროგრამა დიდი მოწონებით სარგებლობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში; მისი მიზანია სტუდენტებში გადაწყვეტილების მიღების უნარის განვითარება. პროგრამის კარგად შემუშავებული და ლოგიკური სტრუქტურის გამო, კვალიფიციური კურსდამთავრებულები ძალიან ადვილად დასაქმდებიან.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7: აღრიცხვა, აუდიტი და ბეგვრა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 120 კრედიტი**

საგანმანათლებლო პროგრამა შეიმუშავა სამუშაო ჯგუფმა, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვებზე დაყრდნობით, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. იგი შედგება 120 ECTS კრედიტისგან. პროგრამა მოიცავს სტრუქტურირებულ სასწავლო გეგმას, რომელიც ეტაპობრივად აყალიბებს ცოდნას ოთხი სემესტრის განმავლობაში. პირველი სემესტრი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან კურსებს, როგორცაა ფინანსური აღრიცხვა და ბიზნესის ფინანსური მენეჯმენტი, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების გამოყენებით. შემდგომი სემესტრები მოიცავს მოწინავე თემებს, როგორცაა საგადასახადო აღრიცხვა და აუდიტი, რაც ორიენტირებულია სამაგისტრო ნაშრომისთვის საჭირო დარგობრივი კომპეტენციებისა და კვლევის უნარების განვითარებაზე. პროგრამას აქვს კურსის ლოგიკური წინაპირობები და მოიცავს ყოვლისმომცველ აკადემიურ გეგმას, რომელიც დეტალურად აღწერს კურსის ინტერდისციპლინურობას. ის განიხილა და დაამტკიცა ფაკულტეტმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ, მას შემდეგ რაც დარწმუნდნენ, რომ იგი აკმაყოფილებს შრომის ბაზრის საჭიროებებს და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8: საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა საჯარო მმართველობაში - 180 კრედიტი.**

ბსუ-ში საჯარო მმართველობის პროგრამა შეიმუშავა სამართლისა და საჯარო მმართველობის დეპარტამენტმა, საჭირო კომპეტენციების გამოსავლენად ბაზრის კვლევისა და დამსაქმებლის კონსულტაციების მიღების შემდეგ. თანამშრომლებმა აღნიშნეს საერთაშორისო პროფესორების დახმარება პროგრამის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით. პროგრამა დაკავშირებულია უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმასთან და ფაკულტეტის სტრატეგიულ მიზნებთან და შინაარსი ჩამოყალიბებულია საერთაშორისო და

ეროვნული საგანმანათლებლო პრაქტიკის საფუძველზე. პროგრამის ხანგრძლივობაა 3 წელი და მოიცავს 180 ECTS კრედიტს. პროგრამას აქვს სტრუქტურირებული სასწავლო გეგმა, რომელიც ვითარდება ზოგადიდან კონკრეტულ საგნებზე, ხაზს უსვამს კონცეპტუალურ ცოდნას საჯარო მმართველობის სფეროში, პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს კურსების ლოგიკურ ჩამონათვალს; პრაქტიკულ აქტივობებს თითოეული საგნისთვის. ძირითადი კურსები მოიცავს საჯარო მმართველობას, კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარებს, კვლევის მეთოდებს და სხვადასხვა სავალდებულო საგანს, არსებითი კომპეტენციების ჩამოსაყალიბებლად. კურსების ბიბლიოგრაფია უფრო მეტად არის ორიენტირებული ქართულენოვან წყაროებზე, უცხოენოვანი წყაროები ნაკლებად არის ნახსენები. კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის მიზანია დააკმაყოფილოს ყველა დაინტერესებული მხარე. შრომის ბაზრის მოთხოვნები არის უნივერსიტეტის უმთავრესი საკითხი საჯარო მმართველობის სფეროში. დასაქმების დონე ძალიან მაღალია ბსუ-ს საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულების მაღალი კვალიფიკაციის გამო.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და განვითარების უზრუნველყოფის წესი
- გადაწყვეტილება სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა
- საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამოქმედო გეგმები
- მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბენჩმარკინგი“
- დოკუმენტი - ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული გეგმა (PA)
- სადოქტორო პროგრამის რეგულაციები
- თვითშეფასების ანგარიში

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -**

**კლასტერის ზოგადი რჩევები:**

- სასურველია, პრაქტიკული აქტივობებისთვის გამოყოფილი საათების გაზრდა;
- სასურველია, სასწავლო საგნების სიის გადახედვა და პროფესიული მიმართულებით კურსების პრიორიტეტიზაცია;
- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის პოპულარიზაციის მექანიზმის დახვეწა, სტუდენტების რაოდენობის გაზრდის მიზნით;
- სასურველია, სადოქტორო კვლევის შედეგების ინტერნაციონალიზაციისა და ხილვადობის გაზრდა.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -**

პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, დონე 6

**რეკომენდაციები:** არა,

**რჩევები:**

- სასურველია, უნივერსიტეტის ვებგვერდის ინგლისურენოვან ვერსიაზე განახლდეს პროგრამის შესახებ ინფორმაცია.

პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, დონე 7

**რეკომენდაციები:** -

**რჩევები:**

- სასურველია, თანამშრომლობის გაზრდა უფრო მეტ ბიზნეს კომპანიასთან სტაჟირების შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით;

პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირება, დონე 8

**რეკომენდაციები:** -

**რჩევები:**

- სასურველია, დოქტორანტურის პროგრამის ინტერნაციონალიზაციის და საერთაშორისოდ აღიარებულ მონაცემთა ბაზებში პუბლიკაციების ხილვადობის გაზრდა;
- 

პროგრამა 4 ფინანსები, დონე 6

**რეკომენდაციები:** არა,

**რჩევები:**

- სასურველია, კერძო სექტორის მეტად ჩართვა სტაჟირების სასწავლო მიზნებისა და სასწავლო გეგმის შემუშავებაში.

პროგრამა 5 ფინანსები და საბანკო საქმე, დონე 7

**რეკომენდაციები:** არა,

**რჩევები:**

- სასურველია, ფაკულტეტის მიერ საბანკო სექტორთან თანამშრომლობის გაზრდა.

პროგრამა 6 მარკეტინგი,

დონე 7

რეკომენდაციები: არა,

რჩევები:

- სასურველია სასწავლო საგნების ფოკუსირება მარკეტინგის ახალ ტენდენციებზე.

პროგრამა 7 ბუღალტერია, აუდიტი და გადასახადები, დონე 7

რეკომენდაციები: -

რჩევები:

- სასურველია საერთაშორისო სერტიფიცირების ხელშეწყობა აუდიტსა და საბუღალტრო აღრიცხვაში.

პროგრამა 8 – საჯარო მმართველობა – დონე 6

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, დონე 6)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, დონე 7)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება, დონე 8)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ფინანსები, დონე 6)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ფინანსები და საბანკო საქმე, დონე 7)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (მარკეტინგი, დონე 6)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (აღრიცხვა, აუდიტი და ბუღალტრული დონე 7)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>



### 1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

#### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

#### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სილაბუსები სტანდარტიზებულია. თითოეული სასწავლო კურსისთვის შემუშავებულია დეტალური და კარგად ორგანიზებული აღწერილობა (სილაბუსი). თითოეული სილაბუსი მოიცავს: კურსის მიზნებს, განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, სწავლება-სწავლის მეთოდებს, რომლებიც მიმართულია სწავლის შედეგების მისაღწევად, ყოველკვირეული სასწავლო მასალის დეტალურ აღწერას, შესაბამის ლიტერატურას და დამოუკიდებელ სამუშაოებს, შეფასების მეთოდებს თითოეული შეფასების კომპონენტისთვის, აგრეთვე, მკაფიო კრიტერიუმებს, რომლებიც სტუდენტის მიღწევებს აკავშირებს შეფასებასთან, და სასურველ ლიტერატურას. ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, რადგან თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

საგანმანათლებლო გეგმის დებულებები ფორმულირებულია თითოეული დისციპლინის სასწავლო გეგმაში, რომელიც შემუშავებულია აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული მოდელის მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ბსუ-ს შიდა რეგულაციები, რომლებიც ეხება სასწავლო გეგმებსა და სილაბუსების პროცედურებს, კარგად ცნობილია როგორც პროფესორ-მასწავლებელთათვის, ისე სტუდენტებისთვის და თანმიმდევრულად სრულდება ყველა დონეზე – დეპარტამენტებში, ფაკულტეტზე და ინსტიტუციაში, რაც ხელს უწყობს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების მიღწევას. ფაკულტეტს, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შერჩეულის აქვს შესაბამისი სასწავლო კურსები. კურიკულუმის კომიტეტი უზრუნველყოფს, რომ კურსების შინაარსი ლოგიკურად უკავშირდებოდეს პროგრამის სწავლის შედეგებს, და საჭიროების შემთხვევაში, შეაქვს ცვლილებები.

სწავლის ეფექტური შედეგები მხარდაჭერილია ხელმისაწვდომი სასწავლო მასალებით, პრაქტიკული მაგალითებითა და ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე ლიტერატურის ყოველწლიური შექმნით. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა კარგად არის ორგანიზებული და წარმოდგენილი.

უნივერსიტეტს გააჩნია მაღალი დონის საინფორმაციო ბაზა და ბიზნესის ადმინისტრირების ლიტერატურა, აგრეთვე, კარგი საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს სახელმძღვანელოებს. ბიზნესის სფეროს სწრაფად განვითარებადი ბუნება და სასწავლო მასალების მუდმივი განახლება მნიშვნელოვანია მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მოსამზადებლად.

ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების, საჯარო მმართველობისა და ფინანსების საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ხაზი გაუსვეს პრაქტიკული აქტივობებისთვის საათების რაოდენობის გაზრდის საჭიროებას. მათი სურვილია, მეტი საათების გამოყოფა სტაჟირების კომპონენტებისთვის.

ადგილზეა კურსდამთავრებულების კონსულტაციისა და მათთან კომუნიკაციის მექანიზმი. კურსდამთავრებულები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის ნაწილს წარმოადგენენ და ყოველწლიურად, სწავლის დასრულებისას, ისინი გამოიკითხებიან მათი პროგრამის ხარისხის შესახებ. მათი რეკომენდაციები გათვალისწინებულია სასწავლო გეგმების გადახედვის პროცესში. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ აღრიცხვა, აუდიტი და ბეგვრის პროგრამა.

სასწავლო გეგმის რეგულარული შეფასება ხორციელდება დარგის სპეციალისტების, მათს შორის ბიზნესის

მენეჯერების მონაწილეობით, რომელშიც გათვალისწინებულია სწავლების ახალი მეთოდები, შრომის ბაზრის მოთხოვნები, დარგობრივი ტენდენციები, მათივე კვლევების შედეგები, ასევე, ცვლილებები რეგულაციებში და სტუდენტთა მოლოდინები.

უნივერსიტეტის მიერ თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებული სასწავლო გეგმები სტრუქტურირებულია ფაკულტეტისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული შიდა პროცედურების შესაბამისად. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები მოწყობილია თანმიმდევრული და ლოგიკური სტრუქტურით. ყველა სასწავლო გეგმა და სილაბუსი სტანდარტულ ფორმატშია მოცემული ი. საკითხები წარმოდგენილია საგნებად, კონცეფციებად და აქტივობებად. ყველა საგანი დაკავშირებულია სწავლების სფეროსა და საფეხურთან, სასწავლო მიზნებთან და შედეგებთან.

პროგრამებში დანერგილია სწავლების ახალი მიდგომები, რომლებიც მოიცავს თეორიულ საგნებს და პრაქტიკულ აქტივობებს, შემთხვევის შესწავლას, პრეზენტაციებს, კვლევით პროექტებს და სხვა მრავალ ამოცანას, რაც პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შეესაბამება. სასწავლო გეგმებში აღწერილი სისტემატური მეთოდოლოგია უზრუნველყოფს დეტალურ სწავლას.

კლასტერში დაჯგუფებულ ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში პროფესიული უნარების განვითარება სტუდენტზეა ორიენტირებული. საგანმანათლებლო პროგრამებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დამსაქმებლების როლს, რადგან ისინი მონაწილეობენ სასწავლო გეგმების ცვლილების პროცესში და ხელს უწყობენ შრომის ბაზრის ინტერესების გათვალისწინებას. მათი წვლილი გავლენას ახდენს სასწავლო გეგმების ხარისხზე, საკვალიფიკაციო საჭიროებების მიხედვით. სასწავლო გეგმების შინაარსში მოცულია დამატებითი საკითხები.

ბაზრის კვლევის ანგარიშში მოცემულია ძირითადი დებულებები და მტკიცებულებები გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. შეფასების სტრატეგიები ადგილზეა. სტუდენტები კარგად იცნობენ სასწავლო გეგმების შინაარსსა და ცოდნის შეფასების მოთხოვნებს. სილაბუსებისა და სასწავლო გეგმების დაგეგმვის პროცესში კომპანიები მონაწილეობენ, რომლებიც ჩართულები არიან განხილვაში და ასევე იძლევიან უკუკავშირს. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების აქტორები (პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და დოქტორანტები), კერძო ბიზნესის მფლობელებთან და საჯარო მოხელეებთან ერთად ახორციელებენ ერთობლივ კვლევით პროექტებს.

უნივერსიტეტის პერსონალი მონაწილეობს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში ადგილობრივი საჯარო მმართველობის დონეზე და კონსულტაციებს უწევს კომპანიებსა და ბანკებს ბიზნეს-გეგმების შემუშავებაში. რაც შეეხება კურსდამთავრებულთა პრობლემების გადაჭრის უნარებს, დამსაქმებლების შეფასებით, მათ აქვთ შესაბამისი კომპეტენცია, თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, იღებენ რაციონალურ გადაწყვეტილებას. კლასტერში დაჯგუფებული ყველა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ფაკულტეტის მიერ იდენტიფიცირებულ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით და უნივერსიტეტის თანამშრომლობის ხელშეკრულებების საფუძველზე. ყველა სასწავლო კურსის სასწავლო გეგმა შემუშავებულია კონკრეტული სფეროს სწავლის შედეგების მისაღწევად, რაც მხარდაჭერილია კრედიტების განაწილებით. კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, ხოლო სილაბუსში აღწერილი სასწავლო მასალები აუცილებელია სტუდენტებისთვის პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში დასახმარებლად.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 180 კრედიტი.**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის სტრუქტურაში შემოთავაზებულია პროგრესული მიდგომა. პროგრამა ზუსტადაა ორგანიზებული, რათა სტუდენტები მოამზადოს პოტენციური სამაგისტრო საფეხურის განათლებისათვის, თეორიული ცოდნასა და პრაქტიკული უნარებზე კონცენტრირებით, რომელიც პროგრამის სწავლის შედეგებს შეესაბამება. პროგრამა მოიცავს სწავლებისა და შეფასების მრავალფეროვან თანამედროვე მეთოდებს. გარდა ამისა, სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მაღალი დონის სასწავლო მასალებს, დაგეგმვის პროგრამულ უზრუნველყოფას, სახელმძღვანელოებსა და საინფორმაციო ბაზებს, რაც ხელს უწყობს ცოდნის გაუმჯობესებას.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2: ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 120 კრედიტი.**

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ზოგად კვალიფიკაციებს, რომელიც საჭიროა მაღალკვალიფიციური მენეჯერული პოზიციებისთვისა და სადოქტორო პროგრამებისათვის. სასწავლო გეგმა აჩვენებს ლოგიკურ სტრუქტურას და ხელს უწყობს ბიზნესის ადმინისტრირების მაღალ დონეზე სწავლებას. სამაგისტრო პროგრამის ყველა სილაბუსი ადგილზეა. სასწავლო გეგმა აერთიანებს როგორც თეორიულ, ისე გამოყენებით ცოდნასა და კვლევას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის აღმასრულებელი, საკონსულტაციო ან სამეწარმეო როლებისთვის საჭირო ლიდერული უნარების განვითარებას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3: ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა - 60 კრედიტი.**

სასწავლო გეგმა აქცენტს აკეთებს როგორც თეორიულ, ისე გამოყენებით კვლევაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის აღმასრულებელი, საკონსულტაციო ან სამეწარმეო როლებისთვის საჭირო ლიდერული უნარების განვითარებას. კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, ხოლო სილაბუსში აღწერილი სასწავლო მასალები აუცილებელია სტუდენტებისთვის პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში დასახმარებლად.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 : ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 180 კრედიტი.**

ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ ფინანსების საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო გეგმის შინაარსი შეესაბამება სასწავლო კონცეფციის მეთოდოლოგიურ დებულებებს. სასწავლო გეგმის სტრუქტურა მოიცავს სასწავლო მიზნებს, რომლებიც კორელაციაშია პროგრამაში განსაზღვრულ მიზნებთან, რეკომენდებულ ბიბლიოგრაფიასა და წყაროებთან, სწავლება-სწავლების მეთოდებთან, შეფასების ამოცანებთან, სასწავლო შინაარსსა და თითოეულ შინაარსობრივ ერთეულზე გამოყოფილ დროის განაწილებასთან. პროგრამაში შემავალი საგნების სასწავლო გეგმის სტრუქტურა განახლდა წარსულში აკრედიტებული პროგრამების განხორციელების ფარგლებში. თითოეულ სასწავლო კურსს თან ერთვის ლექციების ჩანაწერები და დამხმარე მასალები, რომლებიც სასწავლო პაკეტების ნაწილია. „კორპორატიული ფინანსების“ დისციპლინის სასწავლო გეგმა მოიცავს კონცეპტუალურ ჩარჩოს, ზოგად და სტანდარტულ მიზნებს, თემების ჩაშლას მათთვის სასწავლო ფორმატით განსაზღვრული დროის განაწილებით, სილაბუსის შინაარსობრივ მიზნებს, სწავლება-სწავლის აქტივობებს, ინდივიდუალური სწავლისათვის განკუთვნილ თემებს, გამოცდისთვის მომზადების საკითხებს, შეფასების პროცესებსა და ქულის მინიჭების სკალას, ასევე ბიბლიოგრაფიულ წყაროებს. ბიბლიოგრაფია მუდმივად განახლებადია და მოიცავს კურსის ხელმძღვანელის სამეცნიერო წვლილსა და უახლეს პუბლიკაციებს ფინანსური ანალიზის სფეროში. სილაბუსის განახლებებს სტუდენტებს თითოეული კურსის დასაწყისში აცნობენ შესაბამისი პროფესორ-მასწავლებლები. სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესი შეესაბამება ნორმატიულ აქტებსა და სტანდარტებს და მოიცავს მენეჯერების, მასწავლებლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5: ფინანსებისა და საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 120 კრედიტი.**

ფინანსებისა და საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა დამტკიცებულია ყველა დონეზე და მოიცავს როგორც სავალდებულო, ისე არჩევით კურსებს. სილაბუსების შინაარსი შედგენილია სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევის აუცილებლობის პრინციპის გათვალისწინებით. აკადემიური კურსების სია ლოგიკურად არის დაკავშირებული და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სადოქტორო დონესთან უწყვეტ კავშირს. ფაკულტეტის კურიკულუმის განვითარების გუნდის წევრები შეირჩვიან მათი პროფილისა და საგნის სწავლების მიხედვით. სამუშაო ჯგუფში აგრეთვე ჩართულნი არიან მოწვეული პროფესორები, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტების წარმომადგენლები. ყველა სასწავლო გეგმა ერთნაირი სტრუქტურისაა და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის უნივერსიტეტის IT პლატფორმაზე.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6: მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 120 კრედიტი.**

მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს შესაძლებლობას, რომ გამოწვევები აქციონ შესაძლებლობებად და შექმნან ღირებულება ორგანიზაციებისათვის. პროგრამის მიზანია სტუდენტების კრეატიულობის, ინოვაციური უნარებისა და ისეთი კომპეტენციების გაძლიერება, როგორცაა ინდუსტრიების იდენტიფიცირება, მოზიდვა, გაყიდვა, მართვა და მათთან თანამშრომლობა. არსებული სასწავლო გეგმა კარგად არის სტრუქტურირებული, თუმცა, მარკეტინგის სფეროს სტაბილური ზრდის გამო, აუცილებელია მისი გაუმჯობესება. სოციალური მედიისა და ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება ზრდის მარკეტინგული ანალიტიკის მოთხოვნას როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორებში. კარიერული შედეგების სასწავლო გეგმასთან შედარება მიუთითებს, რომ საჭიროა ახალი ტექნოლოგიებისა და სფეროს ინოვაციების ინტეგრირება. მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სრულად უზრუნველყოფილია სილაბუსებით, სასწავლო და საგანმანათლებლო გეგმების მიხედვით.

ფაკულტეტის ადმინისტრაციამ ექსპერტთა ჯგუფს არგუმენტირებულად წარმუდგინა, თუ როგორ უკავშირებენ მარკეტინგის პროგრამის კომპეტენციებს სფეროს სპეციფიურ მიზნებს. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე აღნიშნა, რომ სწავლის შედეგები და კურსების სილაბუსების შინაარსი გაუმჯობესებულია სხვა უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით (რაც პროგრამის კოორდინატორებმა ჩამოთვალეს და თვითშეფასების ანგარიშში იყო ასახული), მსგავს პროგრამებთან დაკავშირებით. ყველა სასწავლო კურსის სილაბუსი ერთნაირი სტრუქტურითაა შედგენილი და ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ისე პროფესორ-მასწავლებლებისთვის უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ IT პლატფორმაზე. სტუდენტებს აქვთ წვდომა IT სისტემებზე საკუთარი ანგარიშების საშუალებით. შესაბამისი პროფესორ-მასწავლებლები სტუდენტებს კურსის პირველ საათში აცნობენ სილაბუსში მოცემული კურსის მიზნებს, შედეგებს, შინაარსს, განრიგსა და შეფასების მეთოდებს. ასევე, ინფორმაციის დამატებით წყაროს წარმოადგენს სტუდენტების გზამკვლევი. ყველა სასწავლო გეგმა ორიენტირებულია ცოდნის, უნარებისა და შესრულების განვითარებაზე და შემუშავებულია პროგრამის ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციის საფუძველზე.

მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, სასწავლო პროცესი ნათელია და ლოგიკურად სტრუქტურირებული.

პროგრამაში დეტალურად არის აღწერილი თემების, კონცეფციებისა და აქტივობების თანმიმდევრობა, რომელიც საჭიროა სწავლის შედეგებისა და სასწავლო მიზნების მისაღწევად. ეს მიდგომა ხელს უწყობს სტუდენტებს მიიღონ სიღრმისეული ცოდნა და განვიითარონ უნარები. პროგრამის კოორდინატორის შეფასებით, პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მაღალია.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7: აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 120 კრედიტი.**

აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრის სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტიანია და ოთხი სემესტრის განმავლობაში გრძელდება. აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა ეფუძნება სწავლის თანმიმდევრულ მეთოდს, რომელიც იწყება ბუღალტერიის საფუძვლებით და ეტაპობრივად გადადის ფინანსურ აღრიცხვაზე, საერთაშორისო ბუღალტრულ სტანდარტებზე, ფინანსურ ანგარიშგებაზე, დაბეგვრასა და აუდიტზე.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8: საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 180 კრედიტი.**

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსების სილაბუსების შინაარსი შეესაბამება როგორც სწავლის შედეგებს, ისე პროგრამის საერთო მიზნებს. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალები მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. მიგნებების ფარგლებში წარმოჩინდა კარგად სტრუქტურირებული სასწავლო გეგმა, რომელიც აერთიანებს შესაბამის რესურსებსა და მკაფიო მიზნებს და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საგანმანათლებლო გამოცდილებასა და სტუდენტთა სწავლის ეფექტიანობას.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- პროგრამების სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში;

- კურიკულუმის რუკა;
- სტუდენტის სახელმძღვანელო;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამების დამსაქმებლებთან.

### კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის ზოგადი რჩევები:

- სასურველია, მდგრადობის საკითხების ინტეგრირება სავალდებულო შესავალ კურსებში;
- სასურველია, გააუმჯობესოთ სასწავლო პროგრამების ინგლისურენოვანი და სხვა უცხოენოვანი ლიტერატურის უზრუნველყოფით

პროგრამა 1- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები: რჩევ(ები): არ არის

პროგრამა 2- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები: არ არის

რჩევები: არ არის

პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა

რეკომენდაციები: რჩევ(ები):

- სასურველია, დოქტორანტურის პროგრამის ინტერნაციონალიზაციის და საერთაშორისოდ აღიარებულ მონაცემთა ბაზებში პუბლიკაციების ხილვადობის გაზრდა;

პროგრამა 4 - ფინანსების

საბაკალავრო პროგრამა, არ არის

რეკომენდაციები: რჩევ(ები):

პროგრამა 5 - ფინანსებისა და საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები: რჩევ(ები):

- სასურველია, საბანკო სექტორთან თანამშრომლობის გაზრდა;
- სასურველია, სავალდებულო კურსების სიის გადახედვა. სასურველია, ფინანსური კორპორატიული მმართველობის“ კურსის დამატება
- სასურველია, „სახელმწიფო ფინანსების“ საგნისთვის დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობის გადახედვა;
-

პროგრამა 6 მარკეტინგის

სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები: რჩევ(ებ)ი: არ

არის

პროგრამა 7 - აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრა სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები: არ არის

რჩევები:

- სასურველია კურიკულუმის გაუმჯობესება მდგრადობის საკითხების შემოტანით.

**პროგრამა 8 - საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა**

რეკომენდაციები: არ არის

რჩევები:

- სასურველია, „სახელმწიფო ნიშნებისა და სიმბოლოების“ კურსის გადახედვა (2 კრედიტი) შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 - ფინანსების საბაკალავრო პროგრამა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 - ფინანსებისა და საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 - მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 - აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრა სამაგისტრო პროგრამა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან პროგრამის	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა შია მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4- ფინანსების საბაკალავრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 - ფინანსებისა და საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 - მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 - აუდიტი და ბეგერა სამაგისტრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 - საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

### კლასტერის შეფასება

## კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები პროგრამაზე პირების ჩარიცხვისთვის, რაც უზრუნველყოფს იმ პირების ჩართვას პროგრამაში, რომლებიც ფლობენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო ცოდნასა და უნარებს. კერძოდ, სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების მქონე პირს, რომელსაც აქვს სახელმწიფოს მიერ აღიარებული შესაბამისი დოკუმენტი (სერტიფიკატი) და რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ირიცხება აღნიშნულ პროგრამებზე, უფლება აქვს ისწავლოს კლასტერულ აკრედიტაციაზე წარმოდგენილ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, განსაზღვრულია საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვის წინაპირობები. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

დაწესებულების ინფორმაციით, სხვა მექანიზმებთან ერთად, რეგისტრაციის დაწყებამდე საჯარო სკოლებში ტარდება „ღია საათების“ დღეები, რათა დაინტერესებულ პირებს მიეწოდოთ ინფორმაცია პროგრამებზე დაშვების წინაპირობების შესახებ. აბიტურიენტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს აცნობენ დაშვების პირობებს. დაშვების წინაპირობები გამოქვეყნებულია ბათუმის ბსუ-ს ვებსაიტზე, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოქვეყნებულ ცნობარში და ასევე, აღნიშნული ცენტრის ვებსაიტზე.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა შესაძლებელია ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მფლობელი პირებისათვის ნებისმიერ სპეციალობაში, რომელთაც ჩააბარეს როგორც საერთო სამაგისტრო გამოცდა, ისე ბსუ-ს მიერ დადგენილი გამოცდა უცხო ენასა და სპეციალობაში.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომელთაც თავიანთი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აქვთ მოპოვებული უმაღლესი განათლების მიღების უფლება, უფლება აქვთ ისწავლონ საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე.

სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველი სხვა სპეციალობების მქონე ბაკალავრებისთვის, დაწესებულებამ შეიმუშავა მხარდამჭერი მექანიზმი, კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი დეპარტამენტები მართავენ საკონსულტაციო შეხვედრებს სპეციალობის გამოცდის საკითხებზე, რაც დადასტურებულია დეპარტამენტების სხდომების ოქმებით.

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებისა და საგამოცდო საკითხების შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

აკრედიტაციის პერიოდში უნივერსიტეტის ვებსაიტზე განთავსებული იყო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალობის დამატებითი გამოცდების განრიგი, უცხო ენისა და სპეციალობის დამატებითი გამოცდების შეფასებები, სადაც მითითებულია ინფორმაცია (გვარი, სახელი, პროგრამა, შეფასების ქულა). როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, აღნიშნული არ ეწინააღმდეგება პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ბსუ-ს პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა“ (ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 5 ივნისის №01-02/75 ბრძანება), რომლის საფუძველზეც ის ახორციელებს პერსონალური მონაცემების დაცვას.

„უცხო ენის ცოდნა გარკვეულ დონეზე“ განსაზღვრულია დამატებით პირობად სამაგისტრო პროგრამაზე სწავლისათვის. შეფასებისთვის წარმოდგენილ პროგრამებში ინგლისური ენა წინაპირობადაა განსაზღვრული, პროგრამის სტრუქტურასა და სასწავლო მასალებზე დაყრდნობით.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა პროგრამებზე დაშვების წინაპირობები განსხვავებულია.



პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შედეგებს, სასწავლო შინაარსს, საფეხურსა და კვალიფიკაციას.

ბსუ განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკასა და დაწესებულების რესურსებს და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას. ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა სტუდენტთა კვლევის განსაზღვრის მეთოდოლოგია. დაწესებულებამ წარმოადგინა წარმომადგენლობითი საბჭოს №6 გადაწყვეტილება, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინენტის განსაზღვრის წესის თაობაზე“ (28.07.2017). პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად.

პროგრამებზე დაშვებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა და ასევე ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე სწავლის უფლების მოპოვება, თუმცა აღნიშნული არ შეიცავს ინფორმაციას, თუ როგორ ამოწმებს დაწესებულება ქართული ენის ცოდნის დონეს. პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ აბიტურიენტებს მოეთხოვებათ ქართული ენის ცოდნა B1 დონეზე. ბსუ-ს ენების ცენტრი უზრუნველყოფს ქართული ენის გამოცდას.

## **ინდივიდუალური შეფასება**

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 180 კრედიტი**

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის აბიტურიენტი აბარებს სავალდებულო საგნებს: ქართულ ენასა და ლიტერატურას და უცხო ენას. არჩევითი საგნებია მათემატიკა და ისტორია. პროგრამაზე ჩარიცხული კონტინენტის 50% აბარებს მათემატიკას, ხოლო 50% – ისტორიას. განსაზღვრულია საგნების მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და პრიორიტეტები. კერძოდ, მთავარი პრიორიტეტი ენიჭება მათემატიკას ან ისტორიას, შემდეგ კი – ქართულ ენასა და ლიტერატურას და უცხო ენას. არჩევითი საგნების დიფერენციაცია ხელს უწყობს სხვადასხვა საგნობრივი ინტერესის მქონე აპლიკანტების მოზიდვას. აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების დამატებითი ლიტერატურა ძირითადად ინგლისურ ენაზეა.

### **აღწერა და ანალიზი - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ხარისხის მქონე პირს, რომელმაც ჩააბარა საერთო სამაგისტრო გამოცდა და ბსუ-ს რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის შესაბამისად, დადგენილ ვადებში დარეგისტრირდა როგორც მაგისტანტობის კანდიდატი. პროგრამაზე ჩასარიცხად აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები ინგლისურ ენასა (B2 დონე) და სპეციალობაში. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა ან გარე მობილობის ფარგლებში. ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი პროცედურის შესაბამისად, პროგრამაზე დაშვებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა.

თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც პროგრამაში არ ჩანს. კერძოდ, შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა მოიცავს ტესტს, რომელიც განსაზღვრავს ინგლისური ენის ცოდნის დონის დონეს (B2) და სპეციალობის წერით გამოცდას, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ღია და დახურულ ტესტებს, შემთხვევის ანალიზს (case analysis) და კონკრეტულ თემებზე წერით პასუხებს. მისაღები გამოცდა ტარდება ბსუ-ს საგამოცდო ცენტრში, წერითი ფორმით. შეფასება ხორციელდება კომისიის მიერ. მოცემულ სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით, ინტერვიუს პროცესში პროგრამის ხელმძღვანელებმა განმარტეს, რომ სპეციალობის გამოცდის ფორმატი მოიცავს თეორიულ საკითხებს. ვინაიდან პროგრამის წინაპირობები ღიაა, პროგრამის ხელმძღვანელთა აზრით, პროგრამის სფეროში საბაზისო ცოდნა დგინდება სპეციალობის გამოცდების შედეგად და სპეციალობის გამოცდაზე გამოვლენილი ცოდნის დონე საკმარისია პროგრამის დასაძლევად. სამაგისტრო პროგრამის სპეციალობის გამოცდის საკითხები განთავსებულია ვებსაიტზე: <https://bsu.edu.ge/sub-33/program/3/index.html>.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა**

შეფასებისთვის წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის მიხედვით, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს სადოქტორო პროგრამის რეგულაციებით დადგენილი წესების შესაბამისად. პროგრამაზე სწავლის მსურველებს მოეთხოვებათ:

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში (ან „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ განსაზღვრულ, ბიზნესისა და ადმინისტრირების ვიწრო სფეროში კლასიფიცირებულ სფეროებში) ან ეკონომიკაში;

- ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე.

სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება ასევე შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. იმ დოქტორანტმა, რომლისთვისაც ქართული ენა არ არის მშობლიური და რომელსაც სურს სწავლა ქართულენოვან პროგრამაზე, უნდა წარადგინოს სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს ქართული ენის B2 დონეზე ცოდნას, ან ჩააბაროს ქართული ენის გამოცდა ბსუ-ში. სასურველია, უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში, წინაპირობად განისაზღვროს ბიზნესის ადმინისტრირების ან ეკონომიკის მაგისტრის კვალიფიკაციის ფლობა.

- პროგრამაზე სწავლის მსურველებმა უნდა ჩააბარონ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები.

ჩარიცხვის პროცედურა მოიცავს ორ ნაწილს: 1. ინგლისური ენის წერითი გამოცდა, რომლის მიზანია კანდიდატის ინგლისური ენის ცოდნის B2 დონეზე შემოწმება; 2. გასაუბრება/გამოცდა სპეციალობაში, რომელსაც კანდიდატი გადის ინგლისური ენის გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ. გასაუბრების მიზანია კანდიდატის აკადემიური მიღწევების, არჩეული დარგის ცოდნისა და მოტივაციის განსაზღვრა. ასევე, ფასდება დოქტორანტის კვლევითი განაცხადი. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა ან გარე მობილობის ფარგლებშიც.

უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამაზე ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად. დაწესებულებამ წარმოადგინა სადოქტორო პროგრამაზე მიღების შეფასების კრიტერიუმები და გასაუბრებების შეჯამებითი ოქმები. ასევე, ინგლისური ენის გამოცდის ნიმუში, რომელიც განთავსებულია ვებსაიტზე: <https://bsu.edu.ge/main/page/21259/index.html>. სადოქტორო პროგრამის სპეციალობის გამოცდის საკითხები განთავსებულია ვებსაიტზე: <https://bsu.edu.ge/sub-33/program/4/index.html>. სპეციალობის გამოცდისთვის მოსამზადებლად მითითებული სასწავლო ლიტერატურა ნაწილობრივ განახლებულია. პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს ასევე აღინიშნა, რომ წინაპირობები საჭიროებს ცვლილებას სადოქტორო საფეხურის ახალი ჩარჩო-დოკუმენტის შესაბამისად.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 - ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

პროგრამის ჩანაწერის მიხედვით, „საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესების“ შესაბამისად. ფინანსების საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს სავალდებულო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა და უცხო ენა, ხოლო მათემატიკა განიხილება როგორც არჩევითი საგანი.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 - ფინანსებისა და საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

ფინანსების საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს სავალდებულო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა და უცხო ენა, ხოლო მათემატიკა განიხილება როგორც არჩევითი საგანი.

თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც პროგრამის წინაპირობებში არ არის ასახული. კერძოდ, „პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ცოდნისა და კომპეტენციების შეფასება ხდება კომპლექსური გამოცდის ჩაბარებით სპეციალობაში. გამოცდის საკითხები შერჩეულია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო კომპეტენციების დასადასტურებლად.“

იმის გამო, რომ პროგრამაზე ასევე დაიშვებიან კანდიდატები, რომლებიც არ ფლობენ ბიზნესის ადმინისტრირების ან ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხს, პროგრამაში გათვალისწინებული სასწავლო კურსების უკეთ შესასწავლად, ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები უზრუნველყოფენ საკონსულტაციო შეხვედრებს გამოცდის საკითხებთან დაკავშირებით, გამოცდამდე 2 კვირით ადრე (20 საკონსულტაციო საათი). საგამოცდო ბილეთის შედგენისას გათვალისწინებულია თეორიული და პრაქტიკული მასალები, რომლებიც აუცილებელია სწავლის შედეგების განმსაზღვრელი კომპეტენციების (ცოდნის, უნარების) შეფასებისათვის. მისაღები გამოცდა ტარდება ბსუ-ს საგამოცდო ცენტრში, წერიითი ფორმით. შეფასება ხორციელდება კომისიის მიერ, რაც მაქსიმალურად გამორიცხავს სუბიექტურ მიდგომას. საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და საგამოცდო საკითხების შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებსაიტზე. სამაგისტრო პროგრამის სპეციალობის გამოცდის საკითხები განთავსებულია შემდეგ ბმულზე: [https://bsu.edu.ge/text\\_files/ge\\_file\\_420\\_3.pdf](https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_420_3.pdf)

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 - მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა: „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ნებისმიერ სპეციალობაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საერთო სამაგისტრო გამოცდისა და ბსუ-ს მიერ დადგენილი სპეციალობისა და B2 დონის ინგლისური ენის გამოცდების ჩაბარება.“

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 - აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

„საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს ბაკალავრის ხარისხი, ჩაბარებული აქვს საერთო სამაგისტრო გამოცდა და რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში ბსუ-ში დარეგისტრირებულია მაგისტრანტობის კანდიდატად, სრულად წარადგინა ამ წესით დადგენილი დოკუმენტაცია, ჩააბარა შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები უცხო ენასა და სპეციალობაში და დროულად გააფორმა ხელშეკრულება ბსუ-სთან. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა მოიცავს უცხო ენის ცოდნის დონის (B2) ტესტსა და წერით გამოცდას სპეციალობაში.“

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 - საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

ბსუ-ში სტუდენტის სტატუსი მოიპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებმაც უმაღლესი განათლების მიღების უფლება მიიღეს იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც მათ მიიღეს ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტი, უფლება აქვთ ისწავლონ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე. საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა ან გარე მობილობის (ტრანსფერის) საშუალებითაც.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კლასტერულ აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამები და სილაბუსები
- ბსუს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილება: "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ"
- ბსუს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 8 ოქტომბრის N59 დადგენილება, ბსუს სამაგისტრო პროგრამებზე დაშვების წესების დამტკიცების შესახებ
- მისაღები გამოცდის საკითხები ფინანსებისა და საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამისათვის [https://bsu.edu.ge/text\\_files/ge\\_file\\_420\\_3.pdf](https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_420_3.pdf)
- მისაღები გამოცდის საკითხები და ლიტერატურა ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო

- პროგრამისათვის [https://bsu.edu.ge/text\\_files/ge\\_file\\_417\\_3.pdf](https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_417_3.pdf)
- წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება №06, 27.07.2017  
საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინენტის განსაზღვრის წესის თაობაზე
  - დოქტორანტურის დებულება
  - ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა (ბსუს რექტორის 2024 წლის 5 ივნისის N01-02/75 ბრძანება)
  - მისაღები გამოცდის საკითხები და ლიტერატურა ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამისათვის [https://bsu.edu.ge/text\\_files/ge\\_file\\_414\\_3.pdf](https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_414_3.pdf) - 2.1.9
  - გასაუბრებების შედეგები
  - უნივერსიტეტის ვებსაიტი

### კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის

### კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, სრული ინფორმაციის მიწოდება ყველა პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ, მათ შორის ინგლისური და ქართული ენების ცოდნის დონის განსაზღვრის შესახებ.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები არ არის

რჩევები:

სასურველია მისაღებ გამოცდებზე ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნის დადგენა.

პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

### რეკომენდაციები: რჩევ(ებ)ია:

- სასურველია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სპეციალობის მისაღები გამოცდისათვის მოსამზადებელი ლიტერატურა განახლდეს.

პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

არ არის

რჩევები:

- სასურველია, ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის საგამოცდო/გასაუბრების თემების მოსამზადებლად დაემატოს უცხოენოვანი სასწავლო ლიტერატურა.

პროგრამა 4 ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები არ არის

რჩევები: არ არის

- პროგრამა 5 - ფინანსებისა და საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო

პროგრამა

რეკომენდაციები არ არის

რჩევები:

- სასურველია, ფინანსებისა და საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის სპეციალობის მისაღები გამოცდისათვის მოსამზადებელი ლიტერატურა განახლება.

პროგრამა 6 - მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები არ არის

რჩევები: არ არის

პროგრამა 7 - აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები არ არის

რჩევები:

სასურველია, რომ მათ ვისაც სურთ შეისწავლონ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრა, ბაკალავრის ხარისხი ჰქონდეთ ბიზნესის ადმინისტრირებასა და ეკონომიკაში, ან მსგავსი პროფილის მიმართულებით.

პროგრამა 8 - საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

რჩევ(ები): არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 4 - ფინანსების საბაკალავრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 - ფინანსებისა და საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 - მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 - აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრა სამაგისტრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 - საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები, მათში შესული სასწავლო კურსები და კვლევითი კომპონენტები, უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას, სწავლების შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლებისა და სწავლების მეთოდების კომბინაცია ხელს უწყობს ანალიზისა და სინთეზის, კრიტიკული აზროვნებისა და პრაქტიკული უნარების განვითარებას. კურსები მოიცავს წერილობით დავალებებს, მცირე პროექტებს, ზეპირ დისკუსიებს, პრეზენტაციებს, პროფესიულ და ინდუსტრიულ პრაქტიკას, ასევე, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებს, რაც ხელს უწყობს კვლევითი უნარების განვითარებას.

კერძოდ: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას ხელს უწყობს შემდეგი კურსები: "პროფესიული პრაქტიკა," "აკადემიური წერის საფუძვლები," "ბიზნეს სტატისტიკა," "პროექტების მართვა." ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში - "ბიზნესის კვლევის მეთოდები და დიზაინი," "ბიზნეს პროცესების მოდელირება," "ბიზნეს პროექტების მართვა," "პროფესიული პრაქტიკა," "სამაგისტრო ნაშრომი."

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაში - "სწავლების თანამედროვე მეთოდები," "აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის," "კვლევის ტექნიკები და მეთოდები," "პროფესორის ასისტირება," "სფეროს სემინარი," "ქვე-სფეროს სემინარი," "მეცნიერების და კვლევის მენეჯმენტი," "გამოყენებითი სტატისტიკა SPSS-ის ელემენტებით," კოლოკვიუმები და სადოქტორო ნაშრომი. ფინანსების საბაკალავრო პროგრამა: "აკადემიური წერის საფუძვლები," "პროფესიული პრაქტიკა," "ფინანსურ-ეკონომიკური პროცესების მათემატიკური მოდელირება." ფინანსების საბაკალავრო პროგრამაში - "სამეცნიერო კვლევის მეთოდები და დიზაინი," "ბიზნეს პროცესების მოდელირება და სიმულაციები," ფინანსებისა და საბანკო საქმის სამაგისტრო

პროგრამაში "პროფესიული პრაქტიკა," "სამაგისტრო ნაშრომი." მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამაში - "აკადემიური წერა მაგისტრანტებისთვის," "მარკეტინგული კვლევა," "ბიზნეს მარკეტინგი," "პროფესიული პრაქტიკა," "სამაგისტრო ნაშრომი." აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრის სამაგისტრო პროგრამაში - "საგადასახადო ადმინისტრირების პრაქტიკული კურსი," "სამეცნიერო კვლევის მეთოდები და დიზაინი," "ეკონომიკური და ბიზნეს პრობლემების გადაჭრა Excel-სა და Power BI-ში," "ბიზნეს პროცესების მათემატიკური მოდელირება," "შრომის ბაზრის ანალიზი," "პროფესიული პრაქტიკა," "სამაგისტრო ნაშრომი." საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაში - "კომუნიკაციის და პრეზენტაციის უნარები," "კვლევის მეთოდები საჯარო მმართველობაში," "პროექტების მართვა საჯარო სექტორში," "პროფესიული პრაქტიკა."

სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებასა და გაძლიერებას ხელს უწყობს ბსუს მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა, სტუდენტებისათვის გამოცხადებული სამეცნიერო პროექტების დაფინანსება, სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება და სხვა მსგავსი ღონისძიებები.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და შეესაბამება სწავლების დონეს. პრაქტიკის პერიოდში და სამეცნიერო კვლევით პროექტში ჩართვის შემთხვევაში, სტუდენტს ხელმძღვანელობს სფეროს კვალიფიციური წარმომადგენელი.

პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ სტუდენტების პრაქტიკის ობიექტებზე გაგზავნა რთულია პრაქტიკის ორგანიზაციებში სივრცისა და ადამიანური რესურსების შეზღუდვების გამო.

პრაქტიკის პროცესში ტარდება საკონტაქტო კონსულტაციები პრაქტიკის ხელმძღვანელთან და მენტორთან (საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი). პრაქტიკას ხელმძღვანელობს ბსუს წარმომადგენელი. პრაქტიკის ხელმძღვანელი სტუდენტებს ეხმარება პრაქტიკის განმავლობაში წარმოშობილი პრობლემების გადაჭრაში და ხელმძღვანელობს პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებულ აქტივობებს. მენტორის მითითებებისა და დავალებების შესაბამისად იწარმოება პრაქტიკის დღიური. პრაქტიკის დასრულებისას მენტორი წერს აღწერას, რომელშიც აღნიშნულია სტუდენტის მიერ პრაქტიკის დროს გამოვლენილი ცოდნა და უნარები, შესრულებული სამუშაოები, შენიშვნები და რეკომენდაციები. აღწერას თან ერთვის სტუდენტის აქტივობების შეფასების რესურსი. სტუდენტი ყოველდღიურად აღრიცხავს შესრულებულ სამუშაოებს პრაქტიკის დღიურში და პრაქტიკის დასრულების შემდეგ ამზადებს პრაქტიკის ანგარიშს, რომელიც საჯაროდ ინახება. დაწესებულებამ წარმოადგინა პრაქტიკის დღიურები, აღწერები და ანგარიშები. სააკრედიტაციოდ წარდგენილი მასალის პაკეტში დაწესებულებამ წარმოადგინა მემორანდუმი, რომელიც ხელმოწერილია 8 ორგანიზაციასთან. მათ შორის არიან: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო – შეთანხმება გაფორმებულია საგრანტო პროექტის ფარგლებში; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო – რომლის მიზანია ბსუს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის გამოყენება სასწავლო ბაზად; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის განხორციელების ხელშეწყობა; ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია – საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "ნავთობისა და გაზის ინჟინერიის" საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფა; სს "ბაზისბანკი" ბათუმის მომსახურების ცენტრი – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობა ("ბანკის მოლარე-ოპერატორი," მესამე საფეხური); "ლიბერთი ბანკი" – "ფინანსური სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის საკითხი; მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "ბერმელი" – სტუდენტთა საგანმანათლებლო და პროფესიული პრაქტიკის გავლის ხელშეწყობა; შპს "ელტ ბილდინგი" – თანამშრომლობა საგანმანათლებლო, სამეცნიერო და

კულტურულ სფეროებში; სს "თიბისი ბანკი"-ს დეპარტამენტი – პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა. მემორანდუმების შესწავლისას დადგინდა, რომ მემორანდუმების უმეტესობა გაფორმებულია სხვა პროგრამებისათვის და საწარმოო პრაქტიკის მიზანი, ხანგრძლივობა და მიღებული სტუდენტების რაოდენობა არასრულადაა ასახული. პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ უნივერსიტეტს მრავალი მემორანდუმი აქვს გაფორმებული, და მათი თქმით, ტექნიკური შეცდომაა იმ მემორანდუმების წარმოდგენა, რომლებიც კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებთან შეუსაბამოა. გარდა ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა რექტორის განკარგულებები შეფასებისათვის წარმოდგენილი პროგრამების სტუდენტების პრაქტიკის ობიექტებზე გაგზავნის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან. დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან: აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო; აჭარის სავაჭრო პალატა; ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია; შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "ბერმელი"; სს "ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი"; შპს "პრესტიჟ აუდიტი". მემორანდუმებში აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისადაა ასახული პროფესიული პრაქტიკის მიზანი, სტუდენტთა რაოდენობა და ხანგრძლივობა. აკრედიტაციის ექსპერტებმა გაითვალისწინეს მემორანდუმების შესახებ ახალი სიტუაცია. პროგრამის ხელმძღვანელებთან საუბრის დროს აღინიშნა, რომ კერძო სექტორის წარმომადგენლები თავს იკავებენ საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში თანამშრომლობისგან. ძირითადად, სახელმწიფო სტრუქტურები თანამშრომლობენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ უნივერსიტეტთან როგორც საწარმოო პრაქტიკის, ისე სტაჟირების პროგრამების ფარგლებში. ბევრმა სტუდენტმა დასაქმება მოახერხა ანაზღაურებადი სტაჟირების შემდეგ. გარდა ამისა, თვითშეფასების ანგარიშში აღწერილია აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას.

პროგრამების ხელმძღვანელებთან ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამებში საბაკალავრო ნაშრომი არ არის წარმოდგენილი, რადგან წინა წლების გამოცდილებამ აჩვენა მისი ნაკლოვანებები. ამის ნაცვლად, სასწავლო კურსების დონეზე სტუდენტები ამზადებენ ესეებს, რომლებიც, საბოლოო ჯამში, ემსახურება იმავე მიზანს, რასაც საბაკალავრო ნაშრომი – ინფორმაციის მოძიებას, დახარისხებასა და დამუშავებას. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამებში პროექტის შესრულების მოთხოვნები შემოღებულია ცალკეული სასწავლო კურსების დონეზე, რაც ხელს უწყობს ტრანსფერული უნარების განვითარებას. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველია, რომ საბაკალავრო ნაშრომი წარმოდგენილი იყოს სპეციალობის არჩევითი კურსების ჩამონათვალში.

სამაგისტრო პროგრამის რეგულაციებში განსაზღვრულია, რომ "სამეცნიერო ხელმძღვანელი უნდა დაეხმაროს მაგისტრანტს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციის პროცესში, დაეხმაროს მას სილაბუსით გათვალისწინებული წინაპირობების შესრულებაში, რომლებიც საჭიროა სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვებისათვის – მაგისტრანტმა უნდა წარადგინოს სულ მცირე ერთი მოხსენება უნივერსიტეტის (ეროვნულ ან საერთაშორისო) სამეცნიერო კონფერენციაზე ან გამოაქვეყნოს (ან მიიღონ დასაბეჭდად) ნამუშევარი (ნაშრომი/სტატია/თეზისი), რომელიც დაიბეჭდება უნივერსიტეტის (ეროვნული ან საერთაშორისო) სამეცნიერო კონფერენციის მასალებში." ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე კონფერენციაზე მოხსენების წარდგენის მოთხოვნა ხელს უწყობს საჯარო პრეზენტაციების, აკადემიურ დისკუსიაში მონაწილეობისა და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. ასევე, ლექტორები სტუდენტებს რთავენ სამეცნიერო სტატიის/ნაშრომის შედგენაში და ერთობლივად აქვეყნებენ სტატიებს.



ინტერვიუს დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო კურსების ფარგლებში შექმნილი პროექტები წარადგინეს კონკურსებზე და დაფინანსებაც მოიპოვეს. ისინი მონაწილეობენ სტუდენტურ საგრანტო კონკურსებში. საგრანტო პროექტის დაწერამდე მათ უტარდებათ 1- 2 კვირიანი სემინარები პროექტის შემუშავებისა და განხორციელების შესახებ. ამჟამადაც მათ აქვთ მიმდინარე პროექტები, რომლებიც წარადგინეს კონკურსებზე უნივერსიტეტის, მუნიციპალიტეტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, საქართველოს და საერთაშორისო ორგანიზაციების დონეებზე.

ინტერვიუს პროცესში დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ ხორციელდება ერთობლივი აქტივობები აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ერთად. მათი რეკომენდაციის საფუძველზე პროგრამას დაემატა ბიზნეს გეგმის კომპონენტი. გარდა ამისა, უნივერსიტეტში ტარდება საჯარო ლექციები.

"ლიბერტი ბანკის" მიერ შემოთავაზებული პროექტი "ჩემი სალარო" წარმოადგენს სიმულაციურ ოთახს, სადაც მოლარე- ოპერატორისთვის საჭირო ცოდნა და უნარები ვითარდება. პრაქტიკის ობიექტზე მისულ სტუდენტთა 60%-ი დასაქმდა "ლიბერტი ბანკის" 14 ფილიალში.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- სტუდენტთა საგანმათლებლო/პროფესიულ პრაქტიკებთან დაკავშირებული მივლინებების ბრძანებები
- წარმოდგენილი პროგრამები და სილაბუსები
- აკადემიური საბჭოს დადგენილება N-111, 08.10.2015 „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“
- რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონურსში მაგისტრანტის გამარჯვების დამადასტურებელი დოკუმენტი
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულება [http://www.bsu.edu.ge/text\\_files/ge\\_file\\_6256\\_1.pdf](http://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_6256_1.pdf)
- უნივერსიტეტის ვებსაიტი
- თანამშრომლობის მემორანდუმები საჯარო და კერძო სტრუქტურებთან
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის რეგულაციები
- მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან
- გასაუბრებების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის

#### **კლასტერის საერთო რჩევები:**

სასურველია, რომ საბაკალავრო ნაშრომი წარმოდგენილი იყოს სპეციალობის არჩევითი კურსების ნუსხაში. სასურველია, მეტი მემორანდუმის გაფორმება კერძო ბიზნეს კომპანიებთან, სტუდენტების სტაჟირების მიზნით.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები რეკომენდაციები: არ არის

**რჩევები: არ არის**

პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები: არ არის

**რჩევები: არ არის**

პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები: არ არის

**რჩევები: არ არის**

პროგრამა 4 ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები: არ არის

**რჩევები: არ არის**

- პროგრამა 5 - ფინანსებისა და საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო

პროგრამა რეკომენდაციები არ არის

**რჩევები: არ არის**

პროგრამა 6 - მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები არ არის

**რჩევები: არ არის**

პროგრამა 7 - აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები: რჩევ(ებ)ია: არ არის

პროგრამა 8 - საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები: არ არის

რჩევები: არ არის

## შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.2. 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 - ფინანსების საბაკალავრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 - ფინანსებისა და საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 - მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 - აღრიცხვა, აუდიტი და ბუღალტრის სამაგისტრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 - საჯარო ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამების სტანდარტის კომპონენტის

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის/საგნის სწავლების მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საბაკალავრო პროგრამაში სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდები. გამოიყენება შემდეგი მეთოდების კომბინაცია: ვერბალური მეთოდები - განმარტებითი მეთოდი, კითხვა-პასუხის მეთოდი, დისკუსია, შემთხვევის ანალიზის მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და სხვა მეთოდები; წერილობითი მუშაობის მეთოდი - რაც გულისხმობს კონკრეტული საკითხების განხილვისას ჩანაწერების გაკეთებას, მაგალითად: ზოგიერთი ფინანსური და ეკონომიკური საკითხის მათემატიკური ფორმულირება, სტატისტიკური ანალიზი, ცხრილები, გრაფიკები და სხვა; დემონსტრირების მეთოდი - შესწავლილი მასალის დემონსტრირება შეიძლება განხორციელდეს როგორც პედაგოგის, ისე სტუდენტის მიერ. აგრეთვე, პრაქტიკული მეთოდები - მოიცავს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც ავითარებს სტუდენტის პრაქტიკულ უნარებს; სტუდენტი მიღებული ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ საქმიანობას, მაგალითად: პრეზენტაციის მომზადება, სტატისტიკური დაკვირვების ჩატარება და სხვა. წიგნზე მუშაობის მეთოდი - სტუდენტები ამუშავებენ სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას, ასევე მიმართავენ სხვა ლიტერატურულ წყაროებს (მაგალითად, ჟურნალები, ინტერნეტ რესურსები და სხვ.) კვლევითი ნაშრომებისა და/ან პოპულარული სტატიების მომზადებისას.

სამაგისტრო პროგრამების სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლება-სწავლების მეთოდების კომბინაცია უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ლექტორი კონკრეტული მიზნისა და ამოცანის მიხედვით არჩევს შესაბამის მეთოდს. პროგრამა მოიცავს ლექციას, ჯგუფურ (თანამშრომლობით) მუშაობას, დამოუკიდებელ მუშაობას, ვერბალურ, ანუ ზეპირ - ლექციას, თხრობას, საუბარს და სხვ. წიგნზე მუშაობას, წერილობითი მუშაობის მეთოდს, პრაქტიკულ მეთოდებს, დისკუსია/დებატს, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას (PBL), შემთხვევის შესწავლას (case study), აქტიური პრობლემაური სიტუაციების ანალიზის მეთოდს, გონებრივი იერიშის მეთოდს, როლურ და სიტუაციურ თამაშებს, მოქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას, პროექტის შემუშავებასა და პრეზენტაციას, ელექტრონულ სწავლებას (E-learning), სამაგისტრო ნაშრომსა და პროფესიულ პრაქტიკას. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლება-სწავლების მეთოდები ორიენტირებულია დოქტორანტის სხვადასხვა კომპეტენციის განვითარებაზე, როგორცაა სამეცნიერო ინფორმაციის კრიტიკული შეფასება, დამოუკიდებელი აზროვნების, ალტერნატიული შეხედულებების მოსმენის და საკუთარი პოზიციის დაცვის, ასევე ლოგიკური დასკვნების გამოტანის უნარი.

სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, სასწავლო კურსების, სემინარებისა და კოლოკვიუმების საშუალებით, წახალისებულია კონფერენციებში მონაწილეობა და პერიოდულ სამეცნიერო გამოცემებში სტატიების გამოქვეყნების საშუალებით სწავლისა და კვლევის შედეგების გაცნობა. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია ორიენტირებულია კვლევაზე. პროგრამის საბოლოო ეტაპზე კვლევითი კომპონენტის განვითარება დასტურდება საკვალიფიკაციო ნაშრომით. სასწავლო პროცესში გამოიყენება წერილობითი და ვერბალური მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, გონებრივი იერიში, დისკუსია-დებატები, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა, შემთხვევის ანალიზი, მოდელირება/სიმულაცია, რეფლექსია, ურთიერთშეფასება, პრაქტიკული მუშაობის მეთოდი. პროგრამის თითოეული კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში. სწავლება-სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, თანამშრომლობას აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის, და ასევე თავად სტუდენტებს შორის.

სწავლება-სწავლის მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება ინდივიდუალური პროგრამა, რომელიც შედგენილია სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად. სადოქტორო პროგრამაში თითოეულ დოქტორანტს აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის ანგარიშიც დეპარტამენტს წარედგინება.

თვითშეფასების ჯგუფის წევრმა მაგისტრანტმა აღნიშნა პრაქტიკული კომპონენტის ნაკლებობა. ერთ-ერთ სასწავლო კურსში (მაგალითად, „სახელმწიფო ბიუჯეტი“) ხორციელდებოდა ბიუჯეტირების სიმულაციები. მან თვითშეფასების ჯგუფს საკუთარი მოსაზრება გაუზიარა, რომ პროგრამების ფორმირებისას გაძლიერებულიყო სწავლების პრაქტიკული მეთოდების გამოყენება, რაც გათვალისწინებულ იქნა პროგრამის სწავლება-სწავლის

მეთოდებში.

საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ელექტრონულ/დისტანციურ სწავლებას, რომელიც დაფუძნებულია Moodle პლატფორმის გამოყენებაზე და ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს შესაბამის სწავლების მეთოდებს, რაც არ იწვევს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ცვლილებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო კურსების სილაბუსებისაგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი, სალექციო-პრაქტიკულ აქტივობებზე დასწრების ანალიზი
- კურიკულუმის რუკა
- ბსუ-ს სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი [http://www.bsu.edu.ge/text\\_files/ge\\_file\\_20443\\_1.pdf](http://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_20443_1.pdf)
- ბსუს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის N06-01-54 დადგენილებით დამტკიცებული: "ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი".
- ბსუს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის რეგულაციები
- გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

რეკომენდაციები: არ არის

რჩევები: არ არის

**პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

რეკომენდაციები: არ არის

რჩევები: არ არის

**პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა**

რეკომენდაციები: არ არის

რჩევები: არ არის

**პროგრამა 4 ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

რეკომენდაციები: არ არის

რჩევები: არ არის

**პროგრამა 5 - ფინანსებისა და საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო**

**პროგრამა რეკომენდაციები: არ არის**

რჩევები: არ არის

პროგრამა 6 - მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები: არ არის

რჩევები: არ არის

პროგრამა 7 - აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები: არ არის

რჩევები: არ არის

პროგრამა 8 - საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები: არ არის

რჩევები: არ არის

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.3 სწავლება- სწავლის მეთოდები	შესაბამისობა შეა მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობ აშეა მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 - ფინანსების საბაკალავრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 - ფინანსებისა და საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 - მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 - აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრის სამაგისტრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 - საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## 2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

#### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბსუ-ში სტუდენტთა ცოდნის შეფასება რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებითა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული “საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის” წესით. დადგენილი პროცედურების შესაბამისად, შეფასების პროცესი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: მიმდინარე შეფასება, შუალედური გამოცდები და საბოლოო გამოცდები. უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესები პროფესორებს საშუალებას აძლევს, აირჩიონ შეფასების სხვადასხვა მეთოდები და განსაზღვრონ სწავლის შედეგების წონა თითოეული სფეროს სპეციფიკის მიხედვით. ამ წესების მიხედვით, სტუდენტის საბოლოო ქულა შედგება მისი შუალედური და საბოლოო შეფასებების ჯამისაგან. სასწავლო კურსი მაქსიმალური 100 ქულისაგან შედგება, სადაც 60 ქულა განკუთვნილია შუალედური შეფასებისათვის (20 ქულა შუალედური გამოცდა და 40 ქულა მიმდინარე შეფასება), ხოლო 40 ქულა - საბოლოო გამოცდისთვის. უნივერსიტეტში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვრები: შუალედურ შეფასებაში სტუდენტმა უნდა მიიღოს მინიმუმ 35% (60 ქულიდან 21 ქულა), ხოლო საბოლოო გამოცდაში - მინიმუმ 50% (40 ქულიდან 20 ქულა). როგორც შუალედური, ისე საბოლოო შეფასების კომპონენტები შეიძლება მოიცავდეს ზეპირ ან წერით გამოცდას, ტესტებს, პრაქტიკულ ან თეორიულ მუშაობას. შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და ქულების დაგროვების წესები თითოეული სასწავლო კურსისთვის აღწერილია სილაბუსში. თითოეული ლექტორი თავად ირჩევს შეფასების მეთოდებს, განსაზღვრავს და აფორმულირებს შეფასების მკაფიო კრიტერიუმებსა და შესაბამის ქულებს, და ამასთან ერთად წარმოადგენს არჩეული მიდგომის დასაბუთებას. აღნიშნული მეთოდი ლექტორებს მეტ მოქნილობას სთავაზობს, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს სტუდენტებისთვის მრავალფეროვანი და გამამდიდრებელი სასწავლო გამოცდილების შექმნას. სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდებას, რაც მოიცავს დროულ და დეტალურ ინფორმაციას შუალედური შეფასებებისა და საბოლოო გამოცდის შედეგების შესახებ. ასეთი უკუკავშირი სტუდენტებს ეხმარება, უკეთ გაიაზრონ თავიანთი ძლიერი მხარეები, შეცდომები ან სუსტი მხარეები, რათა შესაბამისი ნაბიჯები გადადგან სწავლის გაუმჯობესებისთვის. შუალედურ ან საბოლოო გამოცდაზე არგამოცხადების შემთხვევაში (განსაკუთრებული მიზეზის გამო - ოჯახის წევრის გარდაცვალება ან უნივერსიტეტის სახელით საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებაში მონაწილეობა), გამოცდის გადაბარება შესაძლებელია გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს ერთი კვირის ვადაში. სტუდენტს, რომელმაც მიიღო საბოლოო შეფასება FX (ვერ ჩააბარა, 41-50 ქულა), უფლება აქვს, დამატებითი გამოცდა ჩააბაროს იმავე სემესტრში.

2. მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის წესებს, რადგან ეს დარღვეულ იქნა სადოქტორო დისერტაციის პროცესში, როდესაც სტუდენტმა მიიღო მაღალი შეფასება, მიუხედავად იმისა, რომ არ იცავდა ციტირებისა

და ბიბლიოგრაფიის სახელმძღვანელო პრინციპებს.

პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება, დოქტორანტურა) <sup>[1]</sup>				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ჩათვლით)	პროგრამის პერსონალის რაოდენობა	დარგობრივი გამოცდილების მქონე პერსონალის ჩათვლით <sup>[2]</sup>	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით <sup>[3]</sup>	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	32	32	32	32
- პროფესორი	12	12	12	12
- ასოცირებული პროფესორი	19	19	19	19
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	-	-	-	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

#### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 ფინანსები, ბაკალავრიატი

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროცესს ახორციელებენ აკადემიური (პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ-პროფესორები, ასისტენტები) და მოწვეული პერსონალი (უფროსი მასწავლებლები, მასწავლებლები). მოქმედი კანონმდებლობისა და ბსუ-ს დებულებების შესაბამისად, უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობისათვის შერჩევა ხდება კონკურსის წესით. აკადემიური პერსონალის ფუნქციები განსაზღვრულია ფაკულტეტის დებულებით.

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების კვალიფიკაცია აკმაყოფილებს პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსების მიმართ დადგენილ მოთხოვნებს. 2019-2024 აკადემიური წლების განმავლობაში სამი კვლევითმა პროექტმა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მონაწილეობით, გაიმარჯვა ბსუ-ში მიზნობრივი კვლევითი პროექტების კონკურსში, რომელშიც ჩართული იყვნენ როგორც პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალი, ისე სტუდენტები.

ფინანსების საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში სულ ჩართულია 46 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მათ შორის არის 13 პროფესორი, 20 ასოცირებული პროფესორი, 5 ასისტენტ-პროფესორი, 6 მოწვეული პერსონალი და 2 ასისტენტი.

პროგრამის განმახორციელებელი 46 პერსონალიდან 40 აფილირებულია. მათ შორისაა 13 აფილირებული პროფესორი, 20 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 5 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი და 2 აფილირებული ასისტენტი. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს შესაბამის გამოცდილებას და კომპეტენციას, რათა უზრუნველყონ ფინანსების საბაკალავრო

პროგრამაში ასახული შედეგების მიღწევა. აკადემიური პერსონალის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია კურსების სილაბუსებიდან და მათი CV-ებიდან. ბსუ-ს აკადემიური პერსონალის წევრს შეიძლება ჰქონდეს "A", "B" ან "C" კატეგორიის აკადემიური დატვირთვა, რაც დამოკიდებულია ბსუ-სთან აფილირებაზე. "A" და "B" კატეგორიის აკადემიური დატვირთვების შესრულება (მათ შორის, სწავლება, კონსულტირება, კვლევა და სხვა აქტივობები) მოითხოვს პერსონალის ყოფნას სამუშაო ადგილზე (ორშაბათიდან შაბათამდე - კვირაში მინიმუმ 5 დღის განმავლობაში და არა უმეტეს 40 საათისა). ბსუ-სთან აფილირებული აკადემიური პერსონალის "A" კატეგორიის დატვირთვები შემდეგია:

- პროფესორი: 300 საათი
- ასოცირებული პროფესორი: 350 საათი
- პროფესორის ასისტენტი: 360 საათი
- ასისტენტი: 390 საათი

პროგრამა 4 (ფინანსები, ბაკალავრიატი)[1]				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ჩათვლით)	პროგრამის პერსონალის რაოდენობა	დარგობრივი გამოცდილების მქონე პერსონალის ჩათვლით[2]	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით [3]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	46	46	40	40
- პროფესორი	13	13	13	13
- ასოცირებული პროფესორი	20	20	20	20
- ასისტენტ-პროფესორი	5	5	5	5
- ასისტენტი	2	2	2	2
მოწვეული პერსონალი	6	6	-	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 ფინანსები და საბანკო საქმე, მაგისტრატურა**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ ბსუ-ში საგანმანათლებლო პროცესს ახორციელებენ აკადემიური (პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ-პროფესორები, ასისტენტები) და მოწვეული პერსონალი (უფროსი მასწავლებლები, მასწავლებლები). უნივერსიტეტში აკადემიურ და სამეცნიერო თანამდებობებზე კადრების შერჩევა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ბსუ-ს დებულებების შესაბამისად, კონკურსის წესით, რექტორის მიერ დამტკიცებული კომისიის მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს პროგრამის განმახორციელებელი რესურსების მიმართ დადგენილ მოთხოვნებს. ისინი ფლობენ შესაბამის კვალიფიკაციებს, გამოცდილებას და კომპეტენციას, რათა უზრუნველყონ

საგანმანათლებლო პროგრამაში ასახული შედეგების მიღწევა, რასაც მოწმობს მათი პრეზენტაციები ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე, პუბლიკაციები ქართულ და საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, გამოცემული სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები, მონაწილეობა სხვადასხვა საგრანტო პროექტებში და ა.შ.

წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 12 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მათ შორისაა 4 პროფესორი, ყველა აფილირებული, 7 ასოცირებული პროფესორი, ყველა აფილირებული და 1 მოწვეული პერსონალი.

აკადემიური პერსონალის სავალდებულო აკადემიური დატვირთვის განმსაზღვრელი ფაქტორია მათი აფილირებულობა ბსუ-სთან, რაც რეგულირდება დასაქმებულსა და ბსუ-ს შორის დადებული წერილობითი შეთანხმებით ძირითადი სამუშაო ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით (ეს შეთანხმება აისახება სამუშაო ხელშეკრულებაში შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის დამყარებისთანავე). ბსუ-ს აკადემიური პერსონალის წევრს შეიძლება ჰქონდეს "A", "B" ან "C" კატეგორიის აკადემიური დატვირთვა, რაც დამოკიდებულია ბსუ-სთან აფილირებაზე.

აკადემიური პერსონალის "A" კატეგორიის დატვირთვა ასეთია: ა) პროფესორების: 300 საათი; ბ) ასოცირებული პროფესორების: 350 საათი.

მეორეს მხრივ, "B" კატეგორიის პერსონალს მოეთხოვება შემდეგი სამუშაოების შესრულება წლის განმავლობაში: პროფესორებს - 150 საათი; ასოცირებულ პროფესორებს - 175 საათი.

საგანმანათლებლო პროცესის ჯეროვნად წარმართვის უზრუნველსაყოფად ბსუ-ს დაწესებული აქვს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებისთვის საათების მაქსიმალური რაოდენობა. კერძოდ, „A1“ კატეგორიის დატვირთვის მქონე პირმა სასწავლო წლის განმავლობაში მის აკადემიურ დატვირთვაზე დამატებით არ შეიძლება შეასრულოს 180 აკადემიურ საათზე მეტი; ხოლო „B1“ კატეგორიის დატვირთვის მქონე პირმა სასწავლო წლის განმავლობაში არ შეიძლება შეასრულოს დამატებით 15 აკადემიურ საათზე მეტი. ამასთან, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შემთხვევაში დადგენილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის საათების ლიმიტები. ეს მიდგომა უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის მიერ დაკისრებული ვალდებულებების ადეკვატურად შესრულებას.

<b>პროგრამა 5 (ფინანსები და საბანკო საქმე, მაგისტრატურა)[1]</b>				
<b>პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ჩათვლით)</b>	<b>პროგრამის პერსონალის რაოდენობა</b>	<b>დარგობრივი გამოცდილების მქონე პერსონალის ჩათვლით[2]</b>	<b>დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით [3]</b>	<b>მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი</b>
<b>სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა</b>	12	12	12	11
- პროფესორი	4	4	4	4
- ასოცირებული პროფესორი	7	7	7	7
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტი	-	-	-	-

მოწვეული პერსონალი	1	1	1	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 მარკეტინგი, მაგისტრატურა**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესს ახორციელებენ აკადემიური პერსონალი (პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ-პროფესორები) და უფროსი მასწავლებლები. მოქმედი კანონმდებლობითა და ბსუ-ს დებულებით, უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება კონკურსის წესით რექტორის მიერ დამტკიცებული კომისიის მიერ. აკადემიური პერსონალის ფუნქციები განსაზღვრულია ფაკულტეტის დებულებით. ბსუ-ს აკადემიური პერსონალის წევრს, უნივერსიტეტთან აფილირების გათვალისწინებით, შეიძლება ჰქონდეს "A", "B" ან "C" კატეგორიის აკადემიური დატვირთვა. მათ შორის, "A" და "B" კატეგორიების აკადემიური დატვირთვის შესრულება (მათ შორის სწავლება, კონსულტირება, კვლევა და სხვა აქტივობები) მოითხოვს ინდივიდის ყოფნას სამუშაო ადგილზე (ორშაბათიდან შაბათამდე - კვირაში მინიმუმ 5 დღის განმავლობაში და არაუმეტეს 40 საათისა).

ბსუ-სთან აფილირებული აკადემიური პერსონალის „A“ კატეგორიის დატვირთვა შემდეგია:

- პროფესორი: 300 საათი
- ასოცირებული პროფესორი: 350 საათი
- პროფესორის ასისტენტი: 360 საათი
- ასისტენტი: 390 საათი

წარმოდგენილი პროგრამა მოიცავს 14 აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. მათ შორისაა 2 პროფესორი, ორივე აფილირებული; 7 ასოცირებული პროფესორი, ყველა მათგანი აფილირებული; 3 ასისტენტ-პროფესორი (მათგან 2 აფილირებულია) და 2 მოწვეული პერსონალი.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობენ შესაბამისი კომპეტენციების და კვალიფიკაციების მქონე დამხმარე პერსონალი, როგორცაა ფაკულტეტის მდივანი და დეპარტამენტის სპეციალისტები. ისინი ეხმარებიან ფაკულტეტის დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, პროგრამის ხელმძღვანელებს და პროფესორებს როგორც სასწავლო პროცესის განხორციელებაში, ასევე შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზებულ ჩატარებაში. მათი როლები ასახულია ფაკულტეტის დებულებაში.

<b>პროგრამა 6 მარკეტინგი, მაგისტრატურა[1]</b>				
<b>პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ჩათვლით)</b>	<b>პროგრამის პერსონალის რაოდენობა</b>	<b>დარგობრივი გამოცდილების მქონე პერსონალის ჩათვლით[2]</b>	<b>დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით [3]</b>	<b>მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი</b>
<b>სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა</b>	14	14	14	11

- პროფესორი	2	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	7	7	7	7
- ასისტენტ-პროფესორი	3	3	3	2
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	2	2	2	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრა მაგისტრატურა**

მოწოდებული დოკუმენტაციისა და ადგილზე ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო პროცესს ბსუ-ში უმთავრესად წარმართავენ აკადემიური პერსონალი (პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ-პროფესორები და ასისტენტები) და მოწვეული პერსონალი (უფროსი მასწავლებლები და მასწავლებლები). უნივერსიტეტში აკადემიურ და სამეცნიერო თანამდებობებზე კადრების შერჩევა ხდება საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს დებულების შესაბამისად, კონკურსის წესით რექტორის მიერ დამტკიცებული კომისიის მიერ. საგანმანათლებლო პროცესის გასაადვილებლად ხდება დარგის კვალიფიციური სპეციალისტების შერჩევა და მოწვევა ხდება საკონკურსო პროცესით. აკადემიური პერსონალის ფუნქციები ასახულია ფაკულტეტის დებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას მხარს უჭერენ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. პროგრამა ტარდება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე.

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციები აკმაყოფილებს პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსების მიმართ დადგენილ მოთხოვნებს. მათი მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, მათ მიერ გაკეთებული პრეზენტაციები, გამოქვეყნებული ნაშრომები და სახელმძღვანელოები ადასტურებს, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს შესაბამის გამოცდილებას და კომპეტენციას, რათა უზრუნველყონ ბუღალტრული აღრიცხვას, აუდიტსა და საგადასახადო საქმესთან დაკავშირებული და საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული შედეგების მიღწევა. აკადემიური პერსონალის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია კურსების სილაბუსებიდან და მათი CV-ებიდან.

ბსუ-ს აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭო განსაზღვრავს აკადემიური პერსონალის საათობრივ დატვირთვას, სტუდენტთა მაქსიმალურ რაოდენობას აკადემიურ ჯგუფებში და აკადემიური პერსონალის სავალდებულო წლიურ დატვირთვას, ბსუ-სთან აფილირების გათვალისწინებით, რომელიც შეიძლება დაიყოს "A", "B" ან "C" კატეგორიებად.

ბსუ-სთან აფილირებული აკადემიური პერსონალის „A“ კატეგორიის დატვირთვა ასეთია:

- პროფესორი: 300 საათი
- ასოცირებული პროფესორი: 350 საათი
- პროფესორის ასისტენტი: 360 საათი
- ასისტენტი: 390 საათი.

პროგრამა მოიცავს სულ 23 აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. მათ შორისაა: 4 პროფესორი, ყველა მათგანი აფილირებულია; 10 ასოცირებული პროფესორი, ყველა მათგანი აფილირებულია; 1



ასისტენტ-პროფესორი, რომელიც ასევე არის აფილირებული; და 8 მოწვეული პერსონალი.

**აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროგრამული უნარების განვითარების მიზნით უაღრესად მნიშვნელოვანია „Big 4“-ის სფეროში პარტნიორობის გადრმაგება.**

აუცილებელია აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის განვითარებაზე ფოკუსირება, რათა ყველამ თანაბრად მიიღოს მონაწილეობა სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში. რა თქმა უნდა, უნივერსიტეტი ვერ აიძულებს პერსონალს ისწავლოს ან გაიუმჯობესოს ენობრივი ცოდნა, მაგრამ ამ ასპექტის გასაუმჯობესებლად შესაძლებელია გარკვეული მექანიზმების დანერგვა.

<b>პროგრამა 7 აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრა, მაგისტრატურა [1]</b>				
<b>პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ჩათვლით)</b>	<b>პროგრამის პერსონალის რაოდენობა</b>	<b>დარგობრივი გამოცდილების მქონე პერსონალის ჩათვლით[2]</b>	<b>დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით [3]</b>	<b>მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი</b>
<b>სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა</b>	23	23	15	15
- პროფესორი	4	4	4	4
- ასოცირებული პროფესორი	10	10	10	10
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი	-	-	-	-
<b>მოწვეული პერსონალი</b>	8	8	-	-
<b>სამეცნიერო პერსონალი</b>	-	-	-	-

[1] გთხოვთ აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატოთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

[2] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[3] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 საჯარო მმართველობა, ბაკალავრიატი**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი ფლობს აუცილებელ კომპეტენციებს საგანმანათლებლო პროგრამით შეთავაზებული კომპონენტების სწავლის შედეგების მისაღწევად. ამას ადასტურებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საკვალიფიკაციო დოკუმენტები, გამოქვეყნებული ნაშრომები, საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებზე გაკეთებული პრეზენტაციების თემები, რაც ასახულია პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების

CV-ებში.

პროგრამაში ჩართულია 24 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მათ შორისაა 7 პროფესორი, ყველა მათგანი აფილირებულია; 5 ასოცირებული პროფესორი, ყველა მათგანი აფილირებულია; 3 ასისტენტ-პროფესორი, ყველა მათგანი აფილირებულია და 9 მოწვეული პერსონალი.

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაში აკადემიურ და სამეცნიერო თანამდებობებზე კადრების შერჩევა ხდება რექტორის მიერ დამტკიცებული კომისიის მიერ დადგენილი საკონკურსო პროცესით. სასწავლო პროცესის ხელშეწყობის მიზნით, დარგის კვალიფიციური სპეციალისტების შერჩევა და მოწვევა ხორციელდება კონკურსის წესით, ხოლო აკადემიური პერსონალის ფუნქციები განსაზღვრულია შესაბამისი დებულებით.

პროგრამაში ჩართულმა პერსონალმა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო გამოცემებში გამოაქვეყნა თითქმის 114 ნაშრომი.

პროგრამა 8 საჯარო მმართველობა. ბაკალავრიატი [1]				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ჩათვლით)	პროგრამის პერსონალის რაოდენობა	დარგობრივი გამოცდილების მქონე პერსონალის ჩათვლით[2]	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით [3]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	24	24	15	15
- პროფესორი	7	7	7	7
- ასოცირებული პროფესორი	5	5	5	5
- ასისტენტ-პროფესორი	3	3	3	3
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	9	9	-	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის პირადი საქმეები
- აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა, რომელიც აგრეთვე მოიცავს პერსონალის დატვირთვას სხვა უსდ-ებში
- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის თანაფარდობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, პირადი საქმე
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს აღწერილობა
- გასაუბრებების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის

კლასტერის ზოგადი რჩევები:

სასურველია, უფრო ფართო აუდიტორიის მოზიდვისა და სწავლებაში ჩართული პერსონალის რაოდენობის გაზრდის მიზნით, ამჟამინდელი ვაკანსიების განთავსება დამატებით პლატფორმებზე, როგორცაა მაგალითად - jobs.ge. ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის სხვადასხვა პლატფორმებზე განთავსებით, უნივერსიტეტს შეუძლია უფრო მეტ პოტენციურ კანდიდატს მიაწვდინოს ხმა და უფრო მეტ პირს შესთავაზოს ვაკანტური პოზიცია. ამ მიდგომამ, უსდ-მ შესაძლებელია ხელი შეუწყოს მეტი აპლიკანტის მოზიდვას, რაც შედეგად უზრუნველყოფს უფრო მრავალფეროვან და კვალიფიციურ პედაგოგიურ პერსონალს.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და წინადადებები ინდივიდუალური პროგრამების

მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). პროგრამა 1 საბაკალავრო

საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში )

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის

რჩევები: არ არის

**პროგრამა 2 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში**

რეკომენდაციები: არ არის

რჩევ(ებ)ი: არ არის

**პროგრამა 3 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში**

-

**რჩევები:**

**პროგრამა 4 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში**

**რეკომენდაციები: არ არის**

რეკომენდებულია სადოქტორო დისერტაციის წერისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს შემდეგს: სადოქტორო დისერტაციის თემა განისაზღვროს მისანიჭებელი კვალიფიკაციის მიხედვით; დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის წესებს, რადგან ეს დაირღვა სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, როდესაც სტუდენტმა მაღალი შეფასება მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ არ იცავდა ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის მითითებებს.

**რჩევები: არ არის**

**პროგრამა 5 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებსა და**

**საბანკო საქმეში რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის**

**რჩევები: არ არის**

**პროგრამა 6 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მარკეტინგში**

**რეკომენდაციები: არ არის**

**რჩევ(ებ)ი: არ არის**

**პროგრამა 7 (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ბუღალტრულ აღრიცხვას, აუდიტსა**

**და, საგადასახადო საქმეში) რეკომენდაციები: არ არის**

**რჩევები:**

სასურველია, „დიდი ოთხეულის“ სფეროში პარტნიორობის გაღრმავება, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროგრამული უნარების განვითარებისთვის. აუცილებელია, აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის განვითარებაზე ფოკუსირება, რათა ყველამ თანაბრად შეძლოს მონაწილეობა სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში. რა თქმა უნდა, უნივერსიტეტი ვერ აიძულებს პერსონალს ისწავლოს ან გაიუმჯობესოს ენის ცოდნა, მაგრამ ამ მიმართულებით გარკვეული მექანიზმების დანერგვა შესაძლებელია;

**პროგრამა 8 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა საჯარო მმართველობაში**

## შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, მე-6 საფეხური	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მე-7 საფეხური	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირება, მე-8 საფეხური	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 ფინანსები, მე-6 საფეხური	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 ფინანსები და საბანკო საქმე, მე-7 საფეხური	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 მარკეტინგი, მე-7 საფეხური	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრა, მე-7 საფეხური	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 საჯარო მმართველობა, მე-6 საფეხური	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი**

ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადების ფართო გამოცდილებასთან და საერთაშორისო ხილვადობასთან დაკავშირებით კლასტერში შერჩეული ხელმძღვანელები აკმაყოფილებენ ხარისხის ყველა მოთხოვნას შესაბამის სფეროებში მიღწევების თაობაზე. ეს მოთხოვნები სათანადოდ არის განსაზღვრული შესაბამის რეგულაციებში და დაწესებულებას აქვს საკმარისი პროცედურები და პროტოკოლები შესაბამისობის მონიტორინგისათვის. ისინი სათანადო ყურადღებას აქცევენ კონკრეტულ მოთხოვნებს, რომლებიც დაკავშირებულია აკადემიურ ხარისხთან, კონკრეტულ სფეროში კვლევის გამოცდილებასთან, პუბლიკაციების შესაბამის

რაოდენობასთან და ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადების გამოცდილებასთან.

**აღწერა და ანალიზი – პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება. მაგისტრატურა**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბსუ-ს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი ან მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და სამეცნიერო სფეროში სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებული კვლევის გამოცდილება (მათ შორის შესაბამისი პუბლიკაციები) და ფლობს დოქტორის ხარისხს. თუ სამაგისტრო თემა მოიცავს ორ ან მეტ დარგს/ქვედარგს, სტუდენტს შეიძლება ჰყავდეს თანახელმძღვანელი.

ბსუ-ში სამეცნიერო ხელმძღვანელის სამეცნიერო კვლევითი გამოცდილება ფასდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის, აგრეთვე სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესით. ეს შეფასება მოიცავს მონაწილეობას სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო ღონისძიებებში, სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობრივ ანალიზს, სამეცნიერო საგრანტო პროექტებში ჩართულობას და სხვა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალი ყოველწლიურად ატვირთავს ინფორმაციას თავისი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის შესახებ ბსუ-ს ელექტრონული პორტალის სამეცნიერო საქმიანობის სექციაში. ეს შეიძლება მოიცავდეს სამეცნიერო ნაშრომებს, მონოგრაფიებს, პედაგოგიურ საქმიანობას და სხვა აქტივობებს. ელექტრონულ პორტალზე განთავსებულ ინფორმაციას ადასტურებენ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, კათედრის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ბსუ-ს სამეცნიერო კვლევითი სამსახური.

2019 წლიდან 2024 წლამდე პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა პერსონალმა გამოაქვეყნა თითქმის 68 სტატია მაღალრეიტინგულ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში (Web of Science, Scopus, ERIH PLUS) და მონაწილეობა მიიღო 90-მდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციასა და ვორქშოპში.

მიუხედავად ამისა, აკადემიური პერსონალის უწყვეტი განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისეთი მექანიზმების დანერგვას, რომლებიც ხელს შეუწყობდა მათ მუდმივ ზრდას, როგორცაა:

- აკადემიური განვითარების ხელშეწყობაზე გამიზნული რეგულარული ტრენინგები -
- სწავლების თანამედროვე მეთოდები;
- ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სასწავლო პროცესში და მისი მოდერნიზაცია და ა.შ.
- კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.
- საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გაზრდა და სხვ.

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება)[1]			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელების ჩათვლით[2]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	13	13	
- პროფესორი	5	5	5
- ასოცირებული პროფესორი	8	8	8

- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-
მოწვეული პერსონალი	-	-	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირება. დოქტორანტურა**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით და პირადად გასაუბრებით დასტურდება, რომ სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელის შერჩევასა და გათვალისწინებული იქნება დარგში მიმდინარე მიღწევებსა და მიმდინარე პროცესებზე ჩატარებული კვლევა. იმის გათვალისწინებით, რომ სადოქტორო დისერტაციების თემატიკა მოიცავს დარგის სხვადასხვა მიმართულების შესაბამის საკითხებს, ყურადღება ეთმობა ხელმძღვანელის სამეცნიერო საქმიანობას კონკრეტულ სფეროში. შესაბამისად, სადოქტორო დისერტაციის წარმატებით დასრულების უზრუნველსაყოფად, დოქტორანტს ენიშნება სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომელიც შეიძლება იყოს ბსუ-ს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი/მოწვეული პირი შესაბამისი კვალიფიკაციითა და სადოქტორო დისერტაციის თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევითი გამოცდილებით (შესაბამისი პუბლიკაციებით).

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალი ყოველწლიურად ანახლებს ინფორმაციას თავისი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის შესახებ ბსუ ელექტრონული პორტალის სამეცნიერო საქმიანობის სექციაში. ეს შეიძლება მოიცავდეს სამეცნიერო ნაშრომებს, მონოგრაფიებს, პედაგოგიურ საქმიანობას და სხვა აქტივობებს. დოქტორანტების ხელმძღვანელების სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხარისხი ფასდება მნიშვნელოვანი ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მოწოდებულია მათი სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებით საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში, როგორცაა Web of Science, Scopus და ERIH PLUS.

აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას ხელს უწყობს შესაბამის დეპარტამენტებში სამეცნიერო სემინარების გამართვა მიმდინარე ეკონომიკურ საკითხებზე. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტებთან ერთობლივი სამეცნიერო კვლევების, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის, ღია ლექციების ჩატარების, სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართვის და სხვა საშუალებებით. თუმცა, ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, საჭიროა უნივერსიტეტის მხრიდან მეტი მუშაობა.

<b>პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება. დოქტორანტურა)[1]</b>			
<b>სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა</b>	<b>ნაშრომის ხელმძღვანელები</b>	<b>დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელების ჩათვლით[2]</b>	<b>მათ შორის, ავილირებული აკადემიური პერსონალი</b>
<b>სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა</b>	25	25	25
<b>- პროფესორი</b>	12	12	12
<b>- ასოცირებული პროფესორი</b>	13	13	13
<b>- ასისტენტ-პროფესორი</b>	-	-	-
<b>მოწვეული პერსონალი</b>	-	-	-

სამეცნიერო პერსონალი	-	-	-
----------------------	---	---	---

[1] გთხოვთ აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატოთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

[2] ნაშრომის ხელმძღვანელები, საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხით.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 ფინანსები და საბანკო საქმე, მაგისტრატურა**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით და პირადი ინტერვიუებით დასტურდება, რომ ბსუ-ში სამაგისტრო ნაშრომის დასრულების უზრუნველსაყოფად მაგისტრანტს ენიშნება სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომელიც შეიძლება იყოს ბსუ-ს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი/მოწვეული პირი, შესაბამისი კვალიფიკაციით და სამაგისტრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილებით (შესაბამისი პუბლიკაციებით).

აკადემიური პერსონალი ყოველწლიურად ანახლებს ბსუ-ს ელექტრონული პორტალის სამეცნიერო საქციაში ინფორმაციას მათი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის შესახებ: სამეცნიერო ნაშრომებს, მონოგრაფიებს, პედაგოგიურ საქმიანობას და სხვა აქტივობებს. მაგისტრატურის სტუდენტების ხელმძღვანელების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის შესაფასებლად მნიშვნელოვანი წყაროს წარმოადგენს ინფორმაცია სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში, როგორცაა Web of Science, Scopus და ERIH PLUS. გამოქვეყნებულ ინფორმაციას ამდასტურებენ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, კათედრების ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ბსუ-ს კვლევების ოფისი.

2021 წლიდან 2023 წლამდე პერიოდში ფინანსებისა და საბანკო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა პერსონალმა გამოაქვეყნა 28 სამეცნიერო ნაშრომი მაღალ ინდექსირებულ საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში. <b>პროგრამა 5 (ფინანსები და საბანკო საქმე, მაგისტრატურა)[1]</b>			
<b>სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა</b>	<b>ნაშრომის ხელმძღვანელები</b>	<b>დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელების ჩათვლით[2]</b>	<b>მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი</b>
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	10	10	10
- პროფესორი	10	10	10
- ასოცირებული პროფესორი	-	-	-
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-
მოწვეული პერსონალი	1	1	1
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (მარკეტინგი, მაგისტრატურა)



წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პირადი ინტერვიუების მეშვეობით დგინდება, რომ მაგისტრანტის ხელმძღვანელის მიმართ მოთხოვნები სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების აუცილებლობასთან დაკავშირებით ფასდება ბსუ-ში აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესით და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევით მუშაობით.

ეს წესები აფასებს სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობას, სამეცნიერო ნაშრომების ხარისხობრივ ანალიზს, სამეცნიერო საგრანტო პროექტებში ჩართვას, დოქტორანტების ან/და მაგისტრანტების მონაწილეობას სამეცნიერო პროექტებში, სამაგისტრო და/ან სადოქტორო დისერტაციების ხელმძღვანელობას, სამეცნიერო სემინარებში ჩართულობას, მონაწილეობა სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებაში, სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობას და სხვა.

სამაგისტრო ნაშრომის წარმატებით დასრულების უზრუნველსაყოფად მაგისტრანტს ენიშნება სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომელიც შეიძლება იყოს ბსუ-ს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი/მოწვეული პირი შესაბამისი კვალიფიკაციით და სამაგისტრო ნაშრომის თემათან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევით გამოცდილებით (შესაბამისი პუბლიკაციებით).

აკადემიური პერსონალი ყოველწლიურად ანახლებს ბსუ-ს ელექტრონული პორტალის სამეცნიერო საქციაში ინფორმაციას მათი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის შესახებ: სამეცნიერო ნაშრომებს, მონოგრაფიებს, პედაგოგიურ საქმიანობას და სხვა აქტივობებს. მაგისტრატურის სტუდენტების ხელმძღვანელების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის შესაფასებლად მნიშვნელოვანი წყაროს წარმოადგენს ინფორმაცია სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში, როგორცაა Web of Science, Scopus და ERIH PLUS. გამოქვეყნებულ ინფორმაციას ადასტურებენ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, კათედრების ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ბსუ-ს კვლევების ოფისი.

<b>პროგრამა 6 (მარკეტინგი, მაგისტრატურა)[3]</b>			
<b>სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა</b>	<b>ნაშრომის ხელმძღვანელები</b>	<b>დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელების ჩათვლით [4]</b>	<b>მათ შორის, ავილირებული აკადემიური პერსონალი</b>
<b>სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა</b>	<b>8</b>	<b>8</b>	<b>8</b>
<b>- პროფესორი</b>	<b>2</b>	<b>2</b>	<b>2</b>
<b>- ასოცირებული პროფესორი</b>	<b>6</b>	<b>6</b>	<b>6</b>
<b>- ასისტენტ-პროფესორი</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>
<b>მოწვეული პერსონალი</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>
<b>სამეცნიერო პერსონალი</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 საბუღალტო აღრიცხვა, აუდიტი, საგადასახადო საქმე. მაგისტრატურა**

ბსუ-ში სამაგისტრო ნაშრომის წარმატებით დასრულების უზრუნველსაყოფად მაგისტრანტს ენიშნება სამეცნიერო ხელმძღვანელი. ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბსუ-ს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი ან მოწვეული პირი, შესაბამისი კვალიფიკაციითა და სამაგისტრო

ნაშრომის თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილებით.

აკადემიური პერსონალი ყოველწლიურად ანახლებს ბსუ-ს ელექტრონული პორტალის სამეცნიერო საქციაში ინფორმაციას მათი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის შესახებ: სამეცნიერო ნაშრომებს, მონოგრაფიებს, პედაგოგიურ საქმიანობას და სხვა აქტივობებს. მაგისტრატურის სტუდენტების ხელმძღვანელების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის შესაფასებლად მნიშვნელოვანი წყაროს წარმოადგენს ინფორმაცია სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში, როგორცაა Web of Science, Scopus და ERIH PLUS. გამოქვეყნებულ ინფორმაციას ამდასტურებენ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, კათედრების ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ბსუ-ს კვლევების ოფისი.

2021-დან 2023 წლამდე აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, რომელიც ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას ბულატრული აღრიცხვის, აუდიტისა და საგადასახადო საქმეში, გამოაქვეყნა 247 სამეცნიერო ნაშრომი მაღალ ინდექსირებულ საერთაშორისო მონაცემთა ბაზაში.

პროგრამა 7 საბუღალტო აღრიცხვა, აუდიტი, საგადასახადო საქმე. მაგისტრატურა[5]			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელების ჩათვლით [6]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	15	15	15
- პროფესორი	4	4	4
- ასოცირებული პროფესორი	10	10	10
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1
მოწვეული პერსონალი	-	-	-

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ადგილზე ინტერვიუ
- წარმოდგენილი დოკუმენტაცია
- აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების მე-16 მუხლი ბსუ-ში სასწავლო პროცესის დებულების დამტკიცების შესახებ, სამაგისტრო ნაშრომების დაგეგმვის, მომზადებისა და დაცვის პროცედურებთან დაკავშირებით.
- ბსუ-ს ელექტრონული პორტალი: სამეცნიერო საქმიანობა - აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების CV-ები
- დაწესებულების ვებ-საიტი
- თვითშეფასების ანგარიში
- ჩატარებულ სამეცნიერო სემინარებთან დაკავშირებით ფინანსური, საბანკო და სადაზღვევო საქმეთა დეპარტამენტის შეხვედრების ოქმები (ინახება შესაბამის დეპარტამენტებში)

## კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, რეგულარული ტრენინგების ორგანიზება, რომელიც ორიენტირებულია აკადემიური განვითარების ხელშეწყობაზე შემდეგ მიმართულებებით: „სწავლების თანამედროვე მეთოდები“; „უახლესი პედაგოგიური ტექნიკების შესახებ“ პროფესორ-მასწავლებლების ინფორმირებულობის გაზრდისა და სწავლების ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით; „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში და მისი მოდერნიზაცია“, რათა პროფესორ-მასწავლებლები გაეცნონ ხელოვნური ინტელექტის იმ ხელსაწყოებს, რომლებსაც შეუძლიათ სასწავლო გამოცდილების გაუმჯობესება და ადმინისტრაციული დავალებების გამარტივება; „სხვა რელევანტური თემები“: ეს სესიები შესაძლოა ასევე შეეხოს მზარდ ტენდენციებსა და ტექნოლოგიებს, რომელთაც შეუძლიათ აკადემიური პრაქტიკების გაუმჯობესება. გარდა ამისა, უსდ-მ უნდა შეუწყოს ხელი კვლევის ინტერნაციონალიზაციას, რაც წახალისებს გლობალურ კვლევით ქსელებთან თანამშრომლობას, გაზრდის უნივერსიტეტის ხილვადობას საერთაშორისო აკადემიურ წრეებში და უზრუნველყოფს მრავალფეროვან აკადემიურ პერსპექტივებს.

## კლასტერის ზოგადი რჩევები:

სასურველია, საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გაზრდა. აუცილებელია მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდება საერთაშორისო ბაზებთან და მათ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი გლობალური კვლევითი რესურსების თაობაზე სტუდენტების ინფორმირებით, ისინი უკეთ აღჭურვილნი იქნებიან ჩაერთონ საერთაშორისო კვლევით ქსელებში, ჰქონდეთ წვდომა უახლეს კვლევებზე და შეიტანონ წვლილი გლობალური აკადემიური ინიციატივის განხორციელებაში. ეს ცოდნა არა მხოლოდ გააუმჯობესებს სტუდენტთა კვლევით უნარებს, არამედ მისცემს მათ შესაძლებლობებს თანამშრომლონ საერთაშორისო მეცნიერებთან და მიიღონ მონაწილეობა გლობალურ პროექტებში.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 2 (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში)**

რეკომენდაციები: არ არის

რჩევ(ები)ა: არ არის

**პროგრამა 3 (დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში)**

რეკომენდაციები: არ არის

რჩევ(ები)ა: არ არის

მითითებული

**პროგრამა 5 (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებსა და საბანკო საქმეში)**

რეკომენდაციები: არ არის

რჩევ(ები)ა: არ არის

მითითებული

**პროგრამა 6 (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მარკეტინგში)**

რეკომენდაციები: არ არის რჩევ(ები)ა:

არ არის მითითებული

პროგრამა 7 (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ბულალტრულ აღრიცხვაში, აუდიტსა, საგადასახადო საქმეში)

რეკომენდაციები: არ არის

რჩევ(ები)ა: არ არის მითითებული

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	შესაბამისობა შეა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშეა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშეა მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირება, დოქტორანტურა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 ფინანსები და საბანკო საქმე, მაგისტრატურა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 მარკეტინგი მაგისტრატურა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრა მაგისტრატურა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

#### 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის

## მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

ადგილზე ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესები ითვალისწინებს პერსონალის მონაწილეობის შეფასებას პედაგოგიურ, სამეცნიერო და სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობაში. კერძოდ, ეს მოიცავს პროფესორებისა და მასწავლებლების ჩართულობის შეფასებას საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, სილაბუსების განახლებასა და გაუმჯობესებაში, სასწავლო მასალის მომზადებაში, სასწავლო პროცესის მონიტორინგში, სტუდენტების კმაყოფილების გამოკითხვის ჩატარებაში, მათ ინტერვიუებასა და სხვა აკადემიური აქტივობების შედეგებს.

ინფორმაცია აკადემიური და მოწვეული პერსონალის პედაგოგიური საქმიანობის შესახებ ხელმისაწვდომია ელექტრონულ პორტალზე <https://apa.bsu.edu.ge/MyRate>, ხოლო სამეცნიერო საქმიანობის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ <https://portal.bsu.edu.ge/sa/index.html>.

წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის №07-01/21 გადაწყვეტილებით ამოქმედდა „ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარებისა და პუბლიკაციების წასახალისებელი დაფინანსების დებულება“ კონფერენციებზე, სემინარებზე, კონგრესებზე, ფორუმებსა და სხვა მსგავს ღონისძიებებზე აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მონაწილეობის დასაფინანსებლად.

გარდა ამისა, მოქმედებაშია სტიმულირება აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ სტატიების გამოქვეყნებისათვის. პოლიტიკის თანახმად, „წინა კალენდარული წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიებისათვის დასაქმებულს წახალისების მიზნით ენიჭება ერთჯერადი ფულადი ჯილდო. ეს შეესაბამება ბსუ-ს კვლევითი პოლიტიკით დამტკიცებულ ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების სამეცნიერო აქტივობის გეგმებს“.

### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი

„ბიზნესის ადმინისტრირების“ და „საჯარო მმართველობის“ პირველი დონის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული პერსონალის შეფასება ტარდება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, როგორც სამეცნიერო, ისე პედაგოგიური მუშაობის კუთხით. სამეცნიერო საქმიანობა ფასდება მონოგრაფიებისა და სამეცნიერო ნაშრომების დადასტურებით; მონაწილეობით საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ღონისძიებებში; მიმდინარე და წარდგენილი გრანტებით; სამეცნიერო სემინარების ჩატარებით; საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობით; სამეცნიერო პუბლიკაციების სარედაქციო კოლეგიების წევრობითა და სხვა აქტივობებით.

### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა

ადგილზე ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ბსუ-ში არსებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები ორიენტირებულია აკადემიური პერსონალის შეფასებასა და განვითარებაზე. ბსუ-ს განვითარების სტრატეგიული გეგმა მოიცავს აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების გაძლიერებას და მართვის პროცესებში მათი გამოყენების მექანიზმების დახვეწას. ამ მიზნით შემუშავებულია ბსუ-ის აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის, აგრეთვე სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განცალკევებული შეფასების წესები.

საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანად განსახორციელებლად, უნივერსიტეტმა გადაწყვიტა, მხარი დაუჭიროს პროფესორებსა და მასწავლებლებს ენობრივი კომპეტენციების ამაღლებაში, ინგლისური ენის სასერტიფიკაციო კურსების თანადაფინანსებით. თუმცა, ეს ინიციატივა ენობრივი

კომპეტენციების გასაუმჯობესებლად მოითხოვს დამატებითი მექანიზმების შემუშავებას.

უნივერსიტეტისა და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით პერიოდულად იწვევენ სხვადასხვა უცხოური უნივერსიტეტების პროფესორებს, რათა ჩაატარონ ტრენინგები და გაუზიარონ გამოცდილება სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს. ადგილობრივი ხელისუფლების როლი განათლების ხელშეწყობაში უდავოდ მნიშვნელოვანია.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირება, დოქტორანტურა**

ბსუ-ს განვითარების სტრატეგიული გეგმა მიზნად ისახავს აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმის გაძლიერებას. ამ მიზნით შემუშავდა ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესები, რომელიც მოიცავს პროფესორ-მასწავლებლების ჩართულობის შეფასებას საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, სილაბუსების განახლებასა და დახვეწაში, სასწავლო მასალის მომზადებაში, სამეცნიერო ღონისძიებებსა და საგრანტო პროექტებში მონაწილეობაში, სასწავლო პროცესის მონიტორინგში, სამეცნიერო ნაშრომების თვისებრივი ანალიზის ჩატარებაში, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევაში და სხვ.

უნივერსიტეტი ყოველწლიურად აცხადებს მიზნობრივ კონკურსს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევად. პროექტებში ჩართულია ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები.

საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიურმა პერსონალმა მიიღო რუსთაველის ფონდისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „უმაღლესი განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში გამოცხადებული სხვადასხვა საგრანტო პროექტი. ტარდება პერიოდული ტრენინგები სწავლების თანამედროვე მეთოდებზე და საერთო პროფესიულ განვითარებაზე.

თუმცა, აკადემიური უნარების გასაუმჯობესებლად აუცილებელია უწყვეტი ტრენინგების ან სემინარების ჩატარება, რათა უნივერსიტეტში უზრუნველყოფილი იყოს როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის მუდმივი განვითარება.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 ფინანსები, ბაკალავრიატი**

ადგილზე ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2018 წლიდან 2023 წლამდე ბსუ-ს ფინანსების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა პერსონალმა გამოაქვეყნა 300 სამეცნიერო ნაშრომი. ეს მოიცავს 60-ს ადგილობრივ ჟურნალებში, 140-ს საერთაშორისო ჟურნალებში, რომლებიც ინდექსირებულია მაღალი რანგის სამეცნიერო მეტრულ მონაცემთა ბაზებში (Scopus, Web of Science, Erih Plus), 40 პრეზენტაციას ადგილობრივ და 60-ს საერთაშორისო კონფერენციებზე. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების უმეტესობა ინდექსირებულია საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში: Scopus, Web of Science, EBSCO, და Google Scholar.

გარდა ამისა, 2021 წლიდან BSU-ს პერსონალი მონაწილეობს საგრანტო პროექტებში, როგორცაა Erasmus+ „კლიმატის მართვისა და კლიმატის ცვლილების პრევენციის საგანმანათლებლო, სამეცნიერო, მენეჯერული და სამრეწველო კომპონენტების ინტეგრაცია“ (CLIMAN) (საგრანტო პროექტის ნომერი: 619119-EPP-1-2020-1-NL-EPPKA2-CBHE-JP); DeSIRE-2023 - პროექტის სახელწოდება: "რბილი უნარების განვითარება სომხეთისა და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში 21-ე საუკუნის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად" (პროექტის ნომერი:

101128804 - DeSIRE - ERASMUS-EDU- 2023-CBHE), კოორდინაციას უწევს ვანამორის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სომხეთი); და ETHICS-2022, პროექტის სახელწოდება: "კვლევის პასუხისმგებელი წარმართვა - კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა საქართველოს უნივერსიტეტებში" (პროექტის ნომერი: 101082546 - ERASMUS-EDU-2022-CBHE).

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 ფინანსები და საბანკო საქმე, მაგისტრატურა**

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, ბსუ-ში მოქმედებს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მიზნობრივი დაფინანსების სისტემა. ამ ფარგლებში 2018 წლიდან 2024 წლამდე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე განხორციელდა ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი: „აჭარის მოსახლეობის სიკვდილიანობის ცხრილის აგება: სტატისტიკური ანალიზი და მომავლის პროგნოზირება“, და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სისტემური ტენდენციები: სტრატეგია, ინსტრუმენტაცია, ეფექტურობა“ (2018).

მაგისტრანტების ხელმძღვანელის შერჩევა ხდება ინტერესის სფეროდან გამომდინარე, რის შემდეგაც პერსპექტიულ ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დგინდება კვლევის თემის აქტუალობა და ინიშნება ხელმძღვანელი.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 მარკეტინგი, მაგისტრატურა**

ადგილზე ინტერვიუებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ბსუ-ში შემუშავდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესები. ეს წესები მოიცავს პერსონალის მონაწილეობის შეფასებას პედაგოგიურ, სამეცნიერო და სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობაში.

ბსუ-ში ხელმისაწვდომია სხვადასხვა პროგრამები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისათვის: კონკურსი Erasmus+ გაცვლითი პროგრამისთვის, რომელიც დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში მობილობისთვის; კონკურსი უცხოეთში გამართულ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისთვის (კონფერენციები, სემინარები, კონგრესები, ფორუმები); სხვათა შორის, წახალისება მაღალი რანგის სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებისათვის.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრა. მაგისტრატურა**

უნივერსიტეტისა და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით პერიოდულად იწვევენ სხვადასხვა უცხოური უნივერსიტეტების პროფესორებს, რათა ჩაატარონ ტრენინგები სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის და გაუზიარონ მათი გამოცდილება. ამ ღონისძიებებში მონაწილეობა ხელს უწყობს როგორც პერსონალის პროფესიულ ზრდას, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შემუშავებას.

წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის №07-01/21 გადაწყვეტილებით ბსუ-ში დამტკიცდა დებულება „ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიების გამოქვეყნების წახალისების შესახებ“.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 საჯარო მმართველობა, ბაკალავრიატი**

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის



შეფასება პერიოდულად ტარდება ბსუ-ში შემუშავებული აკადემიური და მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს შეფასების წესით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმებით. ეს შეფასება ხორციელდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით - სამეცნიერო საქმიანობა - კვლევითი საქმიანობა - აკადემიური/მოწვეული პერსონალი - <https://portal.bsu.edu.ge/sa/index.html>.

საჯარო მმართველობის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება ასევე ხორციელდება აკადემიური მონიტორინგის შედეგად. უნივერსიტეტიდან და ფაკულტეტიდან შესაბამისი კომპეტენტური პირი აფასებს პერსონალს მის მეცადინეობებზე დასწრების საფუძველზე და შედეგები ფიქსირდება ელექტრონული სისტემის გაფართოების მოდულში - დასწრება - აკადემიური მონიტორინგი - <https://portal.bsu.edu.ge/Acad-Monitoring/index.html>, რომელიც ხელმისაწვდომია პერსონალისათვის.

პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასება ასევე ტარდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის ელექტრონული თვითშეფასების სისტემის მეშვეობით - <https://apa.bsu.edu.ge/>, რომელიც მოიცავს პედაგოგიური საქმიანობის კომპონენტებს და სასწავლო და აკადემიური ჩართულობის მიმართულებებს.

